პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 286 (9754) | პარასკევი, 4 დეკემბერი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნები ცალკეულ საარჩევნო ოლქებში (1-ლი გვერდი).

კომუნისტების მაღალი აქტივობით მოვაწყოთ საანგარიშო-საარჩევნო კრებები. — კარგი ხარისხისა და ლამაზი ტანსაცმელი მომხმარებელს. გავაუმჯობესოთ მუშაობის კულტურა. სოფლის კომუნისტების სიტყვა (მე-2 გვერდი).

პ. სახეჩიძე. — ავამაღლოთ ჩამორჩენილი კოლმეურნეობები მოწინავეთა დონემდე (მე-2 გვერდი).

სოფლის მეურნეობის სპეციალისტები — ახალ სამუშაო უბნებზე. — ჩვენი პირველი ნაბიჯები. კეთილშობილური საქმე. მთავარი საზრუნავი. საპატიო ამოცანა (მე-2 გვერდი).

საბჭოთა კავშირ-ინდოეთის კომუნიკე სავაჭრო მეთანხმების დადების შესახებ (მე-3 გვერდი).

სტუმრად ბოლნისელ სოფლის მეურნეებთან (მე-3 გვერდი).

მაღალ დონეზე დავაყენოთ [illegible] გამოცემის საქმე (მე-3 გვერდი).

აღვკვეთოთ ავტომობილების საეჭვო ყიდვა-გაყიდვა (მე-3 გვერდი).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-8 სესია. ა. ი. ვიშინსკის სიტყვა პლენარულ სხდომაზე (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

სასოფლო-სამეურნეო პროპაგანდა — ახალი ამოცანების დონეზე

სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ამოცანების გადაჭრაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მეცნიერების მიღწევათა და მოწინავე გამოცდილების პროპაგანდას და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მათს ფართოდ დანერგვას. ჩვენში არის ბევრი მოწინავე კოლმეურნეობა, მტს-ი და საბჭოთა მეურნეობა, სოფლის მეურნეობის ასეულ ათასობით მოწინავე, რომლებიც შემოქმედებითად იყენებენ მეცნიერების მიღწევებს და აღწევენ დიდ შედეგებს მოსავლიანობის აღმავლობასა და მეცხოველეობის სწოლოფტეულობის გადიდებაში. ყველა კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა მოწინავეთა მაგალითისამებრ რომ მუშაობდეს, ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების დიდი სიუხვე იქნებოდა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა გამოაჯილინა ხერხოზული ნაკლოვანებანი სასოფლო-სამეურნეო პროპაგანდის დაყენებაში და აღნიშნა, თუ როგორ უნდა გარდაიქმნას ეს უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო მუშაობა. ჩვენს დროში მეურნეობის გაძღოლა ისე, რომ მხედველობაში არ მივიღოთ მოწინავე კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების გამოცდილება, ნოვატორების მიღწევა, იმას ნიშნავს, რომ აშკარად განვუმზადოთ მას ჩამორჩენა.

პლენუმის შემდეგ განვლილ დროში ერთგვარი მუშაობა შესრულდა სასოფლო-სამეურნეო პროპაგანდის გასაუმჯობესებლად. მთელ რიგ ოლქებში, მხარეებსა და რესპუბლიკებში გაიმართა სასოფლო-სამეურნეო გამოფენები, ეწყობა მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკების, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების, პარტიული და საბჭოთა მუშაკების სემინარები ახალი, პროგრესული აგროტექნიკური და ზოოტექნიკური ხერხების შესასწავლად, ეწყობა ექსკურსიები მოწინავე კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში. უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ მოწინავე გამოცდილების გავრცელებას პრესა, რადიო, კინო.

და მაინც მეცნიერების მიღწევათა და მოწინავე გამოცდილების პროპაგანდის მდგომარეობა, წარმოებაში მათი დანერგვა არ შეეფერება იმ უდიდეს ამოცანებს, რომლებიც ამჟამად დასახულია სოფლის მეურნეობის წინაშე. სასოფლო-სამეურნეო პროპაგანდა ჯერ კიდევ არ გამხდარა სოფლის მეურნეობისადმი ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელობის განუყოფელი ნაწილი.

მთელ რიგ ოლქებში სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა თავი აარიდეს თავიანთ უპირველეს მოვალეობას, ძალიან ცოტა რამეს აკეთებენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პრაქტიკაში მუშაობის მოწინავე ხერხების დანერგვისათვის. სარატოვის ოლქში არიან მოწინავე კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და ნოვატორები, რომელთაც უხვი მოსავალი მოჰყავთ. მაგრამ მათი მიღწევები სხვა მეურნეობათა კუთვნილება არ გამხდარა. სოფლის მეურნეობის საოლქო სამმართველო არ აწყობს ექსკურსიებს მოწინავე კოლმეურნეობებში, მოწვთმოქმედებისა და მეცხოველეობის ნოვატორთა ლექციებსა და მოხსენებებს. სასოფლო-სამეურნეო პროპაგანდაში პასიურ როლს ასრულებს ქალაქ სარატოვის ზოგიერთი სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულება და უმაღლესი სასწავლებელი. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი ორ წელიწადზე მეტი ხანია შეფობს ბალაშოვის რაიონის კოლმეურნეობებს, მაგრამ ამ რაიონის მემინდვრეობასა და მეცხოველეობაში სუსტად იყენებენ მეცნიერების მიღწევებს, დამაკმაყოფილებლად არ მუშაობს სამწლიანი აგრო-ზოოტექნიკური კურსები.

თათრეთის ასსრ, ნოვოსიბირსკისა და კემეროვოს ოლქების პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები ცუდად ზრუნავენ იმისათვის, რომ წარმოებაში სწრაფად და ფართოდ დანერგოს მოსავლის გადიდებისა და მეცხოველეობის განვითარების ღონისძიებანი, რომლებიც მეცნიერების მიერ და პრაქტიკით არის შემუშავებული და შემოწმებული.

უნდა აღინიშნოს — მოწინავე გამოცდილებისა და მეცნიერების მიღწევების პროპაგანდა ცუდად რომ არის დაყენებული, ამაში მარტო სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს როდი მიუძღვით ბრალი. ბევრმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციამ აგრონომიული პროპაგანდის დიდმნიშვნელოვანი საქმე მთლიანად გადააკისრა მუშაკთა მცირე ჯგუფს, ხოლო თვითონ განზე დგას. მათ ავიწყდებათ, რომ სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობა ნიშნავს უწინარეს ყოვლისა სწავლობდე, განაზოგადებდე და ავრცელებდე მოწინავე გამოცდილებას, მეცნიერების მიღწევებს. პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები არა მარტო უნდა ლაპარაკობდნენ მოწინავე გამოცდილების გავრცელების დიდმნიშვნელობაზე, არამედ მოვალენი არიან თვითონ სწავლობდნენ ამ გამოცდილებას და იყვნენ ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მისი დანერგვის აქტიური ორგანიზატორები.

მოწინავე გამოცდილებისა და მეცნიერების მიღწევების პროპაგანდაში დიდი როლი ეკუთვნის პრესას. გაზეთები ახლა მეტი რაოდენობით აქვეყნებენ სტატიებს მოწინავე კოლმეურნეობების, მტს-ების, საბჭოთა მეურნეობების გამოცდილების შესახებ, უფრო ხშირად ბეჭდავენ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ოსტატთა ნაამბობს. გამოიცა მთელი რიგი ახალი სასარგებლო წიგნები.

მაგრამ ბევრი საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური გაზეთი და გამომცემლობა ნაკლებად ზრუნავს მოწინავე გამოცდილების გავრცელებისათვის. გაზეთებში ზოგჯერ ქვეყნდება ზერელე, საქმის უცოდინრად დაწერილი სტატიები საუკეთესო კოლმეურნეობათა მიღწევების შესახებ. ზოგიერთი გაზეთის რედაქციას ახასიათებს საბჭოთა პრესისათვის შეუფერებელი საქციელი, როცა სოფლის მეურნეობის მოწინავეთა სტატიებად ასაღებენ რედაქციის ცალკეულ მუშაკთა ხალტურულ თხზულებებს.

მეცნიერებისა და პრაქტიკის მიღწევების პროპაგანდისათვის მუშაობაში ჯეროვნად არ ჩაბმულა ბევრი გამომცემლობა. სტავროპოლის სამხარეო გამომცემლობას დღემდე არ გამოუშვია არც ერთი საფუძვლიანი წიგნი საშემოდგომო ხორბლის უხვი მოსავლის მოყვანის, მეცხვარეობის საკითხებზე.

ბროშურები და წიგნები, რომლებიც ზოგიერთმა გამომცემლობამ გამოუშვა, ვერ აშუქებენ მუშაობის ახალი ხერხებისა და მეთოდების არსს, ვერ გვიჩვენებენ, თუ როგორ არის მიღწეული შედეგები, როგორ უნდა დაინერგოს ისინი საკოლმეურნეო წარმოების პრაქტიკაში. სრულებით არ იყენებენ მოწინავეთა მიღწევებისა და ჩამორჩენილ მეურნეობებში არსებული მდგომარეობის შედარებითი ანალიზის მეთოდს.

გამომცემლობანი მოვალენი არიან, როგორც ამას მოითხოვს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება, გააუმჯობესონ მასობრივი სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის გამოშვება. ამასთან საჭიროა გაძლიერდეს კონტროლი ლიტერატურის გავრცელებისადმი. ფაქტები მოწმობენ, რომ ბევრი ძვირფასი წიგნი, რომელიც აშუქებს მოწინავე გამოცდილებას, ვერ აღწევს სოფელს, რჩება საქალაქო ბაზებში.

პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ფართოდ უნდა მოაწყოს კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში ლექციური პროპაგანდა სოფლის მეურნეობის საკითხებზე. ამავე დროს მთელ რიგ ოლქებში ლექციური პროპაგანდა არადამაკმაყოფილებლად არის გაშლილი. ლექციების წაკითხვაში ჯეროვნად არ არიან ჩაბმულნი სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების მოწინავენი.

საბჭოთა კინემატოგრაფიამ ამ უკანასკნელ წლებში საკმაო რაოდენობით შექმნა სასწავლო და მეცნიერულ-პოპულარული ფილმები სოფლის მეურნეობის საკითხებზე. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დიდი წარმატება აქვს ფერად კინოფილმს სასოფლო-სამეურნეო კულტურების კვადრატულ-ბუდობრივი წესით თესვის შესახებ. ცუდია ის, რომ მთელ რიგ ადგილებში სასოფლო-სამეურნეო ფილმები თვეობით, ხოლო ზოგჯერ წლობითაც ვერ აღწევს ეკრანს. უკრაინის სსრ კულტურის სამინისტროს გამჭირავებელ კანტორებში არის 100-ზე მეტი სახელწოდების სასოფლო-სამეურნეო ფილმი, რომელთა პირების ტირაჟი 10 ათასს შეადგენს. მაგრამ ეს უმდიდრესი ფონდი სრულად როდია გამოყენებული პროპაგანდისტული და სასწავლო მიზნებისათვის.

მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების პროპაგანდის და წარმოებაში მათი ფართოდ დანერგვისათვის შეჯიბრების გაჩაღების ქმედითი ფორმა უნდა გახდეს რაიონული, საოლქო და რესპუბლიკური სასოფლო-სამეურნეო გამოფენები. თვითეულ მოწინავე კოლმეურნეობას, საბჭოთა მეურნეობას, თვითეულ მტს-ს შეუძლია გვიჩვენოს და კიდევაც უნდა გვიჩვენოს გამოფენებზე ოავიანი მიღწევები, თავიანი გამოცდილება. ამავე დროს გამოფენებზე გარკვეული ადგილი უნდა დაეთმოს ჩამორჩენილი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მაჩვენებლებს, რადგან შედარების მეთოდი მოწინავეთ გამოცდილების პროპაგანდის ერთ-ერთი ყველაზე ნაყოფიერი საშუალებაა.

სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნის მეტ წილ რაიონებში გამოფენები არ ეწყობა. ცუდად მოაწყეს რესპუბლიკური სასოფლო-სამეურნეო გამოფენა ყაბარდოს ასს რესპუბლიკაში. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო ფორმალურად მიუდგა გამოფენის მოწყობას. ზოგიერთმა კოლმეურნეობამ ექსპონატების ნაცვლად გამოფენაზე მხოლოდ პლაკატები და დიაგრამები წარადგინა. ბევრი რაიონიდან გამოფენაზე არ ყოფილა არც ერთი ექსკურსანტი. ამის შედეგად გამოფენამ მიზანს ვერ მიაღწია.

ცალკე უნდა ითქვას მექანიზაციის სასწავლებელთა პროგრამების შესახებ. ამ პროგრამებში გათვალისწინებული არ არის უმნიშვნელოვანესი აგროტექნიკური წესების ღრმა შესწავლა. საქმის ინტერესი კი მოითხოვს, რომ აგროტექნიკის ახალ პროგრესულ წესებს ბეჯითად სწავლობდეს ყველა მექანიზატორი, ყველა კოლმეურნე.

ჩვენს ქვეყანაში ჩაღდება მზადება საგაზაფხულო თესვისათვის. ახლა მთავარი ის არის, რომ სასოფლო-სამეურნეო პროპაგანდა მჭიდროდ დაუკავშიროთ იმ ამოცანებს, რომლებიც დასახულია თვითეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის წინაშე, თვითეული მტს-ის წინაშე. რაც შეიძლება უფრო ფართოდ უნდა გამოვიყენოთ ნოვატორთა გამოცდილება ისეთ კონკრეტულ უბნებზე, როგორიც არის ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმატებითი რემონტი, პირუტყვის გამოზამთრების მოწყობა, საგაზაფხულო თესვისათვის თესლის მომზადება, სასუქის დამზადება და წესიერად შენახვა.

სასოფლო-სამეურნეო პროპაგანდა დიდმნიშვნელოვანი პარტიული და საერთო-სახელმწიფოებრივი ამოცანაა. პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები მოვალენი არიან გადაჭრით გააძლიერონ მოწინავე გამოცდილებისა და სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების მიღწევათა პროპაგანდა, აიყვანონ იგი თანამედროვე მოთხოვნების დონეზე.

„პრავდის“ 3-XII მოწინავე.

3. ი. ლენინის თხზულებათა პირველი ტომი სლოვაკურ ენაზე

პრაღა, (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს, რომ სლოვაკიის პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ გამოსცა ვ. ი. ლენინის თხზულებათა პირველი ტომი 20 ათას ცალად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნები ცალკეულ საარჩევნო ოლქებში

1953 წლის 29 ნოემბერს მოხდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნები ცალკეულ საარჩევნო ოლქებში. სათანადო საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 93 მუხლის საფუძველზე დადასტურებულია, რომ ამომრჩეველთა ერთსულოვანი ხმის მიცემით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებად არჩეული არიან:

მეკანაძე ვასილ პავლეს-ძე — საქართველოს კ. პ. ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი — დუშეთის რაიონის დუშეთის საქალაქო № 130 საარჩევნო ოლქში;

ჩხიკვაძე ვიქტორ მიხეილის-ძე — საქართველოს კ. პ. ცენტრალური კომიტეტის მდივანი — ლანჩხუთის რაიონის სუფსის № 248 საარჩევნო ოლქში;

სუხიშვილი ვლადიმერ თევდორეს-ძე — თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს ვაგონშემკეთებელი სახელოსნოების ზეინკალი — თბილისის სტალინის № 11 საარჩევნო ოლქში;

ბურჭულაძე ერმილე ესეს-ძე — სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი — თბილისის გარეუბნის რაიონის კოჯრის № 58 საარჩევნო ოლქში;

ურუშაძე ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე — სოფ. თამარისის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის დირექტორი — ბოლნისის რაიონის ბოლნისის № 116 საარჩევნო ოლქში;

ყუფუნია თამარ ანდრიას ასული — ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი — ზუგდიდის რაიონის ზუგდიდის ლენინის № 268 საარჩევნო ოლქში;

ბაქრაძე მურმან ხემდის-ძე — ბათუმის რაიონის სოფელ სარფის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე — ბათუმის აჭარისწყლის № 331 საარჩევნო ოლქში;

ბაშკოვი ვასილ პეტრეს-ძე — საბჭოთა კავშირის გმირი — ქალ. ბათუმის № 325 საარჩევნო ოლქში. (საკდესი).

რაიონის ყველა კოლმეურნეობა მილიონერია

მახარაძე. (საკ. კორ.). მახარაძის რაიონში 30 გამსხვილებული კოლმეურნეობაა. ყოველწლიურად იზრდება და მტკიცდება მათი საზოგადოებრივი მეურნეობა, მატულობს მოსავალი და შემოსავალი.

რაიონის ოცდაათივე კოლმეურნეობა მილიონერია. მათგან 24 კოლმეურნეობის შემოსავალი თვითეულის 3-დან 12 მილიონამდე მანეთს უდრის. ამ კოლმეურნეობებში მილიონერია 8 ბრიგადა.

სოფლების ელექტროფიკაცია

ბოლრი. (საკ. კორ.). ამ დღეებში ოლიჩის ნათურები აინთო სოფელ ტინინიდის კოლმეურნეობა „განთიადის“ წევრების ბინებსა და საკოლმეურნეო ფერმებში. წელს ელექტროშუქი მიიღეს აგრეთვე სოფლებმა ზემო ხვითმა, ქვაბერელმა, ოთარშენმა, უფლისციხემ, სვენეთმა და თედოწმინდამ. მიმდინარეობს სოფლების მეღვრეკისის, ტირძნისის, ბროწლეთის, ვარიანის, არაშენდას, ახალდაბის და ნადარბაზევის ელექტროფიკაცია.

სოფლების ელექტროფიკაციაში კოლმეურნეობებს ეხმარება სახელმწიფო. მარტო სოფელ ტინინიდის კოლმეურნეობა „განთიადმა“ ამ მიზნით სახელმწიფოსაგან სესხად მიიღო 40 ათასი მანეთი.

ციტრუსოვანი კულტურების ახალი პლანტაციები

წალენჯიხა, 3 დეკემბერი. (საკდესი). რაიონის კოლმეურნეობებში 45 ჰექტარზე გაშენდა მანდარინისა და ლიმონის ახალი პლანტაციები.

სოფელ ჯვარის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში გეგმით გათვალისწინებული 4 ჰექტარის ნაცვლად ციტრუსების პლანტაციები გაშენდა 5,2 ჰექტარზე. პლანტაციების გაშენების გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს აგრეთვე სოფელ საჩინოს ტელმანის სახელობის, სოფელ ჯგალის რუსთაველის სახელობისა და სოფელ მიქავის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობებმა.

მაღაროელთა შრომითი ვახტეგი კონსტიტუციის დღის შესახვედრად

ჭიათურა. (საკ. კორ.). ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივმა, რომელიც წარმატებით ინარჩუნებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალ წითელ დროშას, 1 დეკემბრისათვის გადაჭარბებით შეასრულა მარგანეცის ამოღების 1953 წლის გეგმა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია იმ უბანთა კოლექტივების კარგი მუშაობა, რომელთაც ხელმძღვანელობენ ინჟინერები გაფრინდაშვილი, ჩაჩანიძე და გიორგაძე. საუკეთესო მაჩვენებლები მოიპოვა აგრეთვე მადნის გამაუხვებელი ფაბრიკის კოლექტივმა.

ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივმა ეს მიღწევა მიუძღვნა სსრ კავშირის კონსტიტუციის დღეს.

ახალციხე. (საკ. კორ.). ახალციხე-ქვანახშირის ტრესტის პირველი შახტის კოლექტივი კვლავ მაღალნაყოფიერად და კარგად მუშაობს. ამ შახტის კოლექტივმა 1953 წლის გეგმის შესრულება 26 ოქტომბრისათვის შეძლო და მას შემდეგ ქვანახშირს მომავალი წლის ანგარიშში იძლევა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია უბნებისა და ცვლის უფროსების ნ. პრივალენკოს, დ. გელენიძის, ნ. ლავრენტიევის, ნ. მანუკიანის უნარიანი მუშაობა. ისინი თავიანთ უბნებზე და ცვლებში მეშახტეთა მაღალნაყოფიერი შრომის საუკეთესო ორგანიზატორები არიან. ამის შედეგია, რომ წელს განვლილ 11 თვეში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით პირველი შახტის კოლექტივმა ქვანახშირის ამოღება 56 პროცენტით გაადიდა.

ვენახის გაშენების ახალი მეთოდი

ახმეტის რაიონის სოფელ ქვემო ალვანის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნის ივანე გაუარაშვილის საკარმიდამო ნაკვეთის 90 ძირ ვაზზე წელს 1.788 კილოგრამი ყურძენი მოვიდა. გაუარაშვილს თავის საკარმიდამო ნაკვეთში ყოველწლიურად მოჰყავს ყურძნის უხვი მოსავალი — ჰექტარზე გადაყვანით 450 ცენტნერი.

ყურძნის ასეთმა უმაგალითო უხვმა მოსავალმა მეცნიერთა ყურადღება მიიპყრო. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტმა შეისწავლა ნოვატორის გამოცდილება, სახელდობრ, ვენახის მოვლის რა აგროტექნიკა აქვს მას, გაუარაშვილის დამსახურება ის არის, რომ მან შედარებით დიდ ფართობზე — 400 კვადრატულ მეტრზე ვაზის გაშენების ახალი მეთოდი შემოიღო. ვაზი დარგული და გაფორმებულია ოთხი მეტრი სიგანის ხეივნად, ვაზსა და ვაზს შუა ორნახევარი მეტრი მანძილია. დარგვის ასეთი ხერხით მნიშვნელოვნად დიდდება თვითეული ძირი ვაზის საკვები ფართობი. ვეგეტაციის დროს გაუარაშვილი ხუთჯერ აწარმოებს შეწამვლას. იგი არ ამუშავებს მწკრივთშორის ნიადაგს, რადგან ხეივნის ჩრდილში სარეველები ვერ ამოდის.

ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ განაზოგადა ნოვატორის გამოცდილება და რჩევას იძლევა საკოლმეურნეო წარმოებაში დაინერგოს ვენახის გაშენების ახალი ხერხი. სოფელ ქვემო ალვანის კოლმეურნეობაში ახალი ხერხით გაშენდა 3 ჰექტარი ვენახი. ახალი ხერხით ვენახს რესპუბლიკის სხვა კოლმეურნეობებიც აშენებენ. (საკდესი).

რძის კომბინატში



7 თვეა, რაც თბილისის ერთ-ერთ ახალ სამრეწველო უბანში — დიდუბეში მუშაობა დაიწყო რძის კომბინატმა, რომელიც თავისი სიმძლავრით უდიდესია ამიერკავკასიაში. კომბინატი უშვებს მაღალი ხარისხის რძის ნაწარმს. აქ რძის გადამუშავების ყველა პროცესს მექანიზმები — სხვადასხვა აპარატები და მანქანები ასრულებენ.

კომბინატი მოწყობილია საბჭოთა ტექნიკის უახლესი მიღწევების მიხედვით. დადგმულია გაუმჯობესებული მანქანები და აპარატები, რომლებიც წელს პირველად დაინერგა რძის გადამუშავების მრეწველობაში. ცისტერნებიდან, რომლებიც დადგმულია პირველ სართულში, რძე მილებით ადის მეორე სართულში, სადაც წარმოებს მისი ტექნოლოგიური დამუშავება, შემდეგ კვლავ უბრუნდება პირველ სართულს. აქ დამუშავებული რძე გადადის საამქროებში, სადაც მზადდება სხვადასხვა პროდუქტები. ყველა საამქროში სანიმუშოდ არის დაცული სანიტარულ-ჰიგიენური პირობები.

კომბინატმა უკვე გამოუშვა 2.418 ტონა პასტერიზებული რძე, 176 ტონა არაყანი, 86 ტონა ხაჭო, 103 ტონა მაწონი, 35 ტონა სულგუნი, 143 ტონა კარაქი, აგრეთვე ნაყინი, ვაფლის ჭიქები, და სხვ.

წლის ბოლომდე კომბინატი აითვისებს სხვადასხვა სახელწოდების ყველის დამზადებას — „ტკბილს“, „საჩაიეს“, „დელიკატესს“ და „მწვანე ყველს“, რომელთა წარმოება რესპუბლიკაში პირველად ხორციელდება. უკვე წარმოებს ყველის ახალი სახეობის მანქანების დაკომპლექტება.

სურათებზე: (მარცხნიდან) 1. სულგუნის წარმოების ოსტატი ვ. პოლუეანოვა და ტექნოლოგი ა. რაზმაძე იღებენ ყველს ყალიბებიდან; 2. საამქროს უფროსი ნ. თვაური და წარმოების გამგე ი. ჩიქობავა ამოწმებენ რძის ტემპერატურას რძის საცავებში.

ფოტო ვლ. ზარიძისა და გ. ვახტანგაძისა.

შეჯიბრება წარმოების რეზერვების გამოყენებისათვის

რიგა, 1 დეკემბერი. (საკდესი). რიგის ახლოს, იქ, სადაც წყალუხვი დაუგავა ერთვის რიგის ყურეს, აღმართულია ლატვიის კამოლის ფაბრიკის კორპუსები. ეს საწარმო შალის ნართს აწოდებს ლატვიისა და ბელორუსიის საქსოვ და სატრიკოტაჟო ფაბრიკებს.

ფაბრიკის კოლექტივმა შეასრულა საერთო და სასაქონლო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა. მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს რა პროდუქციის ხარისხი და შეამცირეს რა მისი თვითღირებულება, მრთველებმა წლის დამდეგიდან გეგმის გადამეტებით დააგროვეს 700 ათასზე მეტი მანეთი.

წარმატებას ხელს უწყობს საწარმოში ფართოდ გაჩაღებული შეჯიბრება წარმოების რეზერვების გამოყენებისათვის. შეჯიბრებაში მონაწილეობს ფაბრიკის ყველა მუშა. მარტო ბოლო წლების მანძილზე ნოვატორთა შრომის ხერხები შეისწავლა მოწინავე პროფესიების 560 მუშამ. ამის შედეგად შრომის ნაყოფიერების ზეგეგმითი ზრდის წლიური ვალდებულება რამდენჯერმე გადამეტებით არის შესრულებული.

დგმის ერთი სელის დროს 3-4 ძაფის შეერთების დარგში საუკეთესო მრთველის ამხ. როზენფელდის მუშაობის გამოცდილებას დაეუფლა № 2 სართავი საამქროს მთელი კოლექტივი. ამან კოლექტივს საშუალება მისცა ცვლაში მიიღოს ბევრი დამატებითი ნართი. ნოემბერში საამქროს მუშებმა, შრომის მოწინავე მეთოდების გამოყენებით, გამოუშვეს 20 პროცენტით მეტი პირველი ხარისხის პროდუქცია, ვიდრე გათვალისწინებული იყო.

ავტოტრანსპორტით ტვირთების ცენტრალიზებული გადაზიდვის გამოცდილება მოსკოვში

მოსკოვის აგურის ქარხნებში სამი წლის წინათ დაინახავდით უთრავ ავტომანქანას. ქარხნების ჭიშკრებთან ავტოტრანსპორტის დაგროვება გამოწვეული იყო იმით, რომ თვითეული სამშენებლო ორგანიზაცია აგურისათვის ეზავნიდა თავის ავტომანქანებს, აგენტებსა და მტვირთავებს. ქარხნებში ყოველდღე მოდიოდა 1.200 ავტომობილი და სამი ათასზე მეცი კაცი.

მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ავტოსატვირთო ტრანსპორტის სამმართველოს კოლექტივმა 1951 წლის დამდეგიდან შემოიღო ცენტრალიზებული გადაზიდვის მეთოდი, რის მეოხებითაც ავტომობილთა ნაკლები რაოდენობით შესაძლებელია უფრო მეტი ტვირთის გადაზიდვა.

ახლა მიმწოდებლიდან მომხმარებლამდე ტვირთი იგზავნება საერთო სარგებლობის ავტოტრანსპორტით. გასაღების სპეციალური კანტორის მეშვეობით სამშენებლო ორგანიზაცია აფორმებს განრიგს, იხდის მიღებული მასალის ღირებულებას, მისი დატვირთვისა და გადაზიდვის ღირებულებას. ნაჩვენები მისამართით მასალა ეგზავნება დამკვეთს, რომელიც მარტო გადმოტვირთვას აწარმოებს.

მოსკოვის მეავტომობილეთა მუშაობის სამი წლის გამოცდილებამ ცხადყო ტვირთების ცენტრალიზებული მიწოდების დიდი ეფექტიანობა. უკვე 1951 წელს ამ მეთოდით აგურის გადაზიდვის შედეგად დაზოგილია 37,5 მილიონი მანეთი. ცენტრალიზებული გადაზიდვა შესაძლებლობას გვაძლევს ფართოდ გამოვიყენოთ დიდი ტვირთის ავტომობილები და მისაბმელები, უკეთ გამოვიყენოთ მუშახელი, მნიშვნელოვნად შევამციროთ გადაზიდვის თვითღირებულება. ახლა მოსკოვის ავტოსატვირთო ტრანსპორტის სამმართველოში იმ ავტომობილების ნახევარზე მეტი, რომლებთაც აგურს ზიდავენ, მუშაობს მისაბმელებით.

მოსკოვში ცენტრალიზებულია აგრეთვე ქვანახშირის, ნავთობპროდუქტების, შავი ლითონების, ლითონის ნაწარმის, აიროვანი ჟანგბადის გადაზიდვა. ამ ტვირთების გადაზიდვაზე თვითეული ავტომანქანის წარმადობა გადიდდა 3-8-ჯერ.

მკვეთრად გაიზარდა ავტომანქანების მძღოლთა როლი. ისინი ახლა ტვირთის თანმხლებთა ფუნქციასაც ასრულებენ.

ცენტრალიზებული გადაზიდვის მეთოდის ფართოდ დანერგვამ მოსკოვის ავტოტრანსპორტის მუშაკებს საშუალება მისცა 1953 წელს სხვა საჭიროებისათვის გაეთავისუფლებინათ დაახლოებით 2.700 ავტომობილი, 6.000-ზე მეტი მტვირთავი და აგენტი, დაზოგათ 2,5 მილიონ ლტრი ბენზინი, 6 ათასი ავტოსამბურავი. წლიური ეკონომია აღემატება 75 მილიონ მანეთს.

ამჟამად მოსკოვში ტვირთების ცენტრალიზებული გადაზიდვის გამოცდილებას იყენებენ ლენინგრადის, კიევის და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქების ავტოტრანსპორტის მუშაკები.

(საკდესი).

კულტურის სახლების ფონდის სახსრებით

ყაზახი (აზერბაიჯანის სსრ), (საკდესი). ყაზახის რაიონის სოფელ აზიზბეილში ამუშავდა რადიოკვანძი. იგი აგებულია მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის კულტურის ფონდის სახსრებით.

შარშან სასოფლო-სამეურნეო არტელმა მიიღო სამი მილიონი მანეთზე მეტი შემოსავალი. ასი ათასამდე მანეთი გამოჰყვეს კულტურული მშენებლობის ფონდში. ამ სახსრებით კლუბისათვის იყიდეს ავეჯი და მუსიკალური ინსტრუმენტები. სავეტე ბანაკებში მოაწყეს პატარა ბიბლიოთეკები. კოლმეურნეობის წლევანდელი შემოსავალი ექვს მილიონამდე მანეთს შეადგენს. ანარიცხები კულტურული მშენებლობის ფონდისათვის შარშანდელთან შედარებით ერთნახევარჯერ გადიდდება. გადაწყდა შეიძინონ კინოპარატურა საზიფხულო კინოთეატრისათვის, შექმნან კულტურისა და დასვენების პარკი, სასპორტო მოედანი.

ყაზახის რაიონის სოფლებში დიდი კულტურული მშენებლობა მიმდინარეობს. დაიწყო მუშაობა კულტურის სახლებმა კოლმეურნეობა „კომკავშირელში“ და სბირის სახელობის კოლმეურნეობაში. კულტურის ფონდის სახსრებით სოფლის ბიბლიოთეკებმა შეიძინეს 20 ათასამდე წიგნი.

კომუნისტების მაღალი აქტივობით მოვაწყოთ საანგარიშო-საარჩევნო კრებები

კარგი ხარისხისა და ლამაზი ტანსაცმელი მომხმარებელს

კომუნისტების საქმიანი აქტივობის ვითარებაში ჩაიარა საანგარიშო-საარჩევნო კრებამ თბილისის პირველ სამკერვალო ფაბრიკაში.

კომუნისტებმა დიდი ყურადღება დაუთმეს პარტიული პროპაგანდის საკითხებს. გაკრიტიკებულ იქნა ზოგიერთი წრის და განსაკუთრებით თეორიის დამოუკიდებლად შემსწავლელი ამხანაგების, მათ შორის ვ. არუთინოვის, ე. დარჩიაშვილის, ხ. ჩადრანოვის მუშაობა. ფაბრიკაში საგიტაციო-მასობრივი მუშაობა საერთოდ ცუდად როდია დაყენებული. 65 აგიტატორი სისტემატურად მართავს შინაარსიან საუბრებს. მაგრამ დამაკმაყოფილებლად ვერ მუშაობენ ის ამხანაგები, რომლებსაც მოსახლეობაში პოლიტიკური აგიტაცია აქვთ მინდობილი. გაუმჯობესებას საჭიროებს კედლის გაზეთები. ისინი ჯერ კიდევ სუსტად ამუქებენ პროდუქციის ხარისხის ამაღლების, წარმოების კულტურის დანერგვისა, შრომითი და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლის საკითხებს.

ბევრი ნაკლია ფაბრიკის კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობაში. შრომის დისციპლინის დამრღვევთა შორის უმრავლესობა ახალგაზრდაა. 13 კომკავშირელი ვერ ასრულებს საწარმოო დავალებებს. კომკავშირული ორგანიზაციის საქმიანობის ნაკლოვანებანი ფაბრიკის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ლ. ზამთარაძემ ნედლეულის სიმცირით და კომკავშირისადმი საამქროთა პარტიული ორგანიზაციების სუსტი ხელმძღვანელობით ახსნა. მან გვერდი აუარა კომკავშირის კომიტეტის ნაკლოვანებათა კრიტიკას.

კრებაზე აღინიშნა, რომ მაღალი ხარისხის პროდუქციის გამოშვებისათვის ბრძოლა პარტიული ორგანიზაციის ღვიძლი საქმეა, მაგრამ ჯერ კიდევ დიდი რაოდენობით ვხვდებით ამ ფაბრიკის წუნდებულ საქონელს. საამქროთა უფროსები და ცალკეული კომუნისტები საკმაოდ არ იბრძვიან მაღალი ხარისხის პროდუქციისათვის. ყოველივე ამის შესახებ ილაპარაკეს ზარველადი პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე მომხსენებელმა — პარტბიუროს მდივანმა თ. სხვიტარიძემ და კამათში მონაწილე კომუნისტებმა.

ფაბრიკამ ვერ შეასრულა 10 თვის გეგმა ასორტიმენტის მიხედვით, ამ ხნის განმავლობაში ქვეყანას დააკლო 14 ასორტიმენტის საქონელი. სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება ფაბრიკის მიერ გამოშვებული მზა ტანსაცმელი. სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს ის, რომ ქალისა და მამაკაცის ტანსაცმელს, განსაკუთრებით კი მოსწავლეთა ფორმის ტანსაცმელს ბევრი ნაკლი აქვს. წარმოებაში მომუშავე ბევრი კომუნისტი არ არის მოწინავე. მაგალითად, გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გეგმას ვერ ასრულებენ კომუნისტები ქ. კობალიშვილი, მ. ჯიქურიშვილი, მ. ხუციშვილი, ა. ავალიანი, ლ. ბაღდასაროვა და სხვები. სახელმწიფო დავალებათა შესრულებაში ჩამორჩნენ მეხუთე და მეექვსე საამქროები, რომლებსაც კომუნისტები ო. პატარაია და გ. ბერიკაშვილი ხელმძღვანელობენ.

მოკამათეები აღნიშნავდნენ, რომ ცალკეული საამქროების პარტიული ორგანიზაციები ნაკლებად იბრძვიან პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის. პირველი საამქროს პარტბიუროს მდივანმა თ. ბაიდაურმა თქვა, რომ სუსტია პარტჯგუფების როლი მაღალი ხარისხის პროდუქციისათვის ბრძოლაში. პარტიული ჯგუფების მუშაობის დაბალი დონე იმით აიხსნება, რომ ფაბრიკის პარტბიუროო და პარტიის მოლოტოვის რაიკომი საკმაოდ არ ეხმარებიან მათ.

თავიანთ გამოსვლებში კომუნისტებმა მწვავედ დაუყენეს ფაბრიკის სპეციალისტებით უზრუნველყოფის საკითხი. როგორც მათ განაცხადეს, 46 ინჟინერ-ტექნიკოსს არა აქვს სპეციალური საფეიქრო განათლება. არის სპეციალისტების არადანიშნულებისამებრ გამოყენების ფაქტებიც. ფაბრიკის მთავარი ინჟინერი ხ. ჩადრანოვი საკმაოდ არ მუშაობს ახალგაზრდა სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. მუშათა კადრების საწარმოო დაოსტატებას ისიც აფერხებს, რომ ფაბრიკას არა აქვს ტექნიკური კაბინეტი.

საგამომჭრელო საამქროს პარტბიუროს მდივანმა ე. ტატიშვილმა და მეორე საამქროს წუნმდებელმა თ. შათირიშვილმა ილაპარაკეს ნედლეულით მომარაგების საკითხებზე, შეეხნენ საექსპერიმენტო საამქროს ნაკლოვან მხარეებს და მკაცრად გააკრიტიკეს ფაბრიკის პარტბიუროო, რომელიც სათანადოდ არ ეხმარება საამქროთა პარტიულ ორგანიზაციებს.

კრებაზე ბევრი ითქვა საფაბრიკო კომიტეტის ცუდი მუშაობის შესახებ. როგორც გამოირკვა, იგი ნაკლებ ყურადღებას უთმობს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, შეჯიბრების შედეგების შეჯამებას და თვითეული მუშისათვის გაცნობას. პროფკავშირული ორგანიზაცია სუსტად აწყობს მოწინავე მუშათა გამოცდილების განზოგადებას. ამითაც აიხსნება, რომ 411 მუშა ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას. კრების მონაწილენი მოელოდნენ, რომ საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარის ა. ბერძენიშვილის გამოსვლა თვითკრიტიკული იქნებოდა, რომ იგი ღრმა ანალიზს გაუკეთებდა ამ ნაკლოვანებებს. მაგრამ ასე როდი მოხდა.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ფაბრიკის დირექტორმა შ. აბაიშვილმა, მთავარმა ინჟინერმა ხ. ჩადრანოვმა და ქუდების საამქროს უფროსმა ბ. ბერიკაშვილმა.

კრებამ პარტბიუროს მიერ გაწეული მუშაობა დამაკმაყოფილებლად ცნო და მიიღო სათანადო დადგენილება.

არჩეულ იქნა პარტბიუროს ახალი შემადგენლობა, აგრეთვე დელეგატები მოლოტოვის რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე დასასწრებად.

მ. ვარდოსანიძე.

გავაუმჯობესოთ მუშაობის კულტურა

მარგანეცის ტრესტის პარტიული ორგანიზაცია ერთ-ერთი მსხვილი ორგანიზაციაა ჭიათურაში. პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე გამოირკვა, რომ მარგანეცის ტრესტის პარტბიუროს საქმიანობაში სერიოზული ნაკლოვანებებია. ჩრდილოვანი მხარეები აქვს საგიტაციო-პროპაგანდისტულ მუშაობას. პარტიული ორგანიზაცია მოწყვეტილია უპარტიო აქტივს, სუსტად მუშაობს მასთან.

პარტიული ბიურო არადამაკმაყოფილებლად იბრძოდა დაწესებულების მუშაობის კულტურის ამაღლებისათვის, სამუშაო დღის რეჟიმის მტკიცედ დაცვისათვის, შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, განყოფილებათა შეწყობილი, მოქნილი მუშაობისათვის.

მოკამათეებმა აღნიშნეს, რომ კომუნალური განყოფილება საცხოვრებელი ბინების კაპიტალურ რემონტს გვიან და ზოგჯერ უხარისხოდ ასრულებს, ზამთარს მოუმზადებელი შეხვდა. განსაკუთრებული უდისციპლინობა და თვითნებობაა ტრესტის სამმართველოს ბუხპალტერიაში. პარტიული ბიურო ვერ იჩენს პრინციპულობას და გამბედაობას, დუმილით უვლის გვერდს აპარატის უაულტურო მუშაობას.

პარტიულ კრებაზე ითქვა, რომ მოუქნელად მუშაობენ მარგანეცის ტრესტის მუშათა მომარაგებისა და ტექნიკური მომარაგების განყოფილებები, ნაკლები ყურადღება ექცევა მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, ჭალაქის კეთილმოწყობას, არის სახელმწიფო ქონების დატაცების შემთხვევები.

საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე თითქმის არაფერი თქვეს პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის შესახებ, ბევრი მოკამათე თავის მართლებას მოუნდა. გამოსვლებში ნაკლები იყო გაბედული, პირუთვნელი კრიტიკა და თვითკრიტიკა.

პ. ჭიოკაძე,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

სოფლის კომუნისტების სიტყვა

ზემო მაჩხაანის (წითელწყაროს რაიონი) სტალინის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებამ კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით ჩაიარა. მომხსენებელმა პარტბიუროს მდივანმა გ. ბენაშვილმა და სიტყვებით გამოსულმა ამხანაგებმა ილაპარაკეს იმაზე, თუ როგორ ხორციელდება პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, ამასთან გააკრიტიკეს პარტბიუროს მიერ გაწეული მუშაობა და დასახეს ღონისძიებანი მხილებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

კომუნისტმა ვ. ბოსტოღანაშვილმა აღნიშნა, რომ შირაქის მანქანა-ტრაქტორთა საგზური ცუდად ემსახურება კოლმეურნეობას, არ სრულდება მტს-სა და კოლმეურნეობას შორის დადებული ხელშეკრულება. ამის გამო კოლმეურნეობა ჩამორჩა როგორც მოსავლის აღების პერიოდში, ისე საშემოდგომო თესვაში. პარტბიუროს კი ერთხელაც არ შეუმოწმებია ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება.

კომუნისტებმა ი. პაპაჩაშვილმა, ბ. ბოსტოღანაშვილმა, ს. ბოჭორიძემ და სხვებმა დაასახელეს საკოლმეურნეო დემოკრატიის დარღვევის ფაქტები. რეგულარულად არ იწვევა კოლმეურნეობის წევრთა კრებები, ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი ერთპიროვნულად წყდება.

როგორც კამათში გამოსულმა ამხანაგებმა თქვეს, ეს ნაკლოვანებანი არ იქნებოდა, პირველადი პარტიული ორგანიზაცია, კერძოდ, პარტბიუროო ღრმად რომ სწვდებოდეს კოლმეურნეობის საქმიანობას, ჯეროვნად ახორციელებდეს წესდებით მინიჭებულ უფლებას — სასოფლო-სამეურნეო არტელის საქმიანობისადმი კონტროლის უფლებას.

კ. ტალიაშვილი.

სოფლის მეურნეოების სპეციალისტებმა ახალ სამუშაო უბნებზე გაიმართეს

მშობლიური კომუნისტური პარტიის მოწოდების პასუხად სოფლის მეურნეობის მრავალი სპეციალისტი წავიდა მტს-ებსა და კოლმეურნეობებში სამუშაოდ. ისინი აქტიურად ჩაებნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა პრაქტიკულად განხორციელებაში, მთელ თავიანთ ენერგიას, ცოდნასა და გამოცდილებას ახმარენ საკოლმეურნეო წარმოების შემდგომ განვითარებას.

სპეციალისტები ამხილებენ მტს-ებისა და კოლმეურნეობების მუშაობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებს, სახავენ ქმედით ღონისძიებებს მათი დაძლევისათვის. პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ვალია ყოველმხრივ დაუჭირონ მხარი პარტიის მიერ სოფლად წარგზავნილთა შემოქმედებითს ინიციატივას.

ქვემოთ ვაქვეყნებთ სპეციალისტთა წერილებს, რომლებშიც ისინი მოგვითხრობენ თავიანთი მუშაობის პირველ ნაბიჯებზე, იმაზე, თუ რა აღელვებთ მათ და რას ფიქრობენ გააკეთონ მომავალში.

ჩვენი პირველი ნაბიჯები

უკანასკნელი 6 წლის მანძილზე სამტრედიის რაიონის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამმართველოს უბნის აგრონომად ვმუშაობდი. პარტიის მოწოდების პასუხად დიდი სიხარულით გადავედი სამუშაოდ კულაშის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც მებოსტნეობა მეურნეობის ყველაზე თავმინებებულ დარგს წარმოადგენს. იმის გამო, რომ აქ ბოსტნეულ კულტურებს გვიან გაზაფხულზე თესავდნენ და რგავდნენ, ხოლო შემდეგ ნათესების მოვლა-პატრონობას ჯეროვან ყურადღებას არ აქცევდნენ, წლიდან წლამდე ბოსტნეულის დაბალ მოსავალს იღებდნენ. მაგალითად, წელს ყოველ ჰექტარზე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 60 ცენტნერისა 31,2 ცენტნერი საადრეო კომბოსტო მიიღეს. არ შესრულებულა პამიდორის, კიტრისა და სხვა კულტურათა მოსავლიანობის დავალებებიც.

კოლმეურნეობის შესაძლებლობათა შესწავლამ იმ დასკვნამდე მიმიყვანა, რომ აქ ბოსტნეული კულტურების მოსავლიანობის მკვეთრად გადიდების ყოველგვარი პირობა არსებობს. ჩემი მოსაზრებანი კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. ლ. ნიკურაძეს გავაცანი. მოვეთათბირეთ კოლმეურნეობის გამგეობის წევრებს, შევიმუშავეთ კონკრეტული ღონისძიებანი და საკითხი განსახილველად კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებაზე გადავიტანეთ. კოლმეურნეებმა ჩვენი წინადადებები მოიწონეს, რის შემდეგაც პრაქტიკულად შევუდექით მათი განხორციელებისათვის მუშაობას. უპირველეს ყოვლისა შევქმენით მებოსტნეობის მუდმივი საწარმოო ბრიგადა. ბოსტნეული კულტურების გასაშენებლად გადავყავით 50 ჰექტარი ფართობი სარწყავ ნიადაგებში.

საშემოდგომოდ ბოსტნეული კულტურები უნდა დაგვთესია 22 ჰექტარი, აქედან 17 ჰექტარი კომბოსტო. განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ ნიადაგის მომზადებას. ხვნის წინ თვითეულ ჰექტარზე შევიტანეთ 500 კილოგრამი ფოსფოროვანი სასუქი, ხოლო შემდეგ ნიადაგი მოვხანით ტრაქტორით (წინასახნისიანი გუთნით) 22-25 სანტიმეტრის სიღრმეზე. ხნული დავამუშავეთ ტრაქტორის ფარცხითა და კულტივატორით. საგულდაგულოდ მომზადებული ნიადაგი დავგეგმეთ კომბოსტოს კვადრატულ-ბუდობრივი რგვისათვის. რგვის წინ თვითეულ ბუდნაში შევიტანეთ 1 კილოგრამამდე ორგანული სასუქი. კვადრატულ-ბუდობრივი წესით კომბოსტო დავრგეთ 13 ჰექტარზე. ამ წესით რგვამ კრლმეურნეთა დიდი დაინტერესება გამოიწვია, რადგან მათ იციან, რომ მცენარეთა კვადრატული წესით განლაგება შესაძლებლობას მოგვცემს მოვაწყოთ მწკრივთა შორის დამუშავების მექანიზაცია და, რაც მთავარია, მნიშვნელოვნად გავადიდოთ მოსავლიანობა. ჩვენ ვიცისრეთ უზრუნველყოთ თვითეულ ჰექტარზე 140 ცენტნერი საადრეო კომბოსტოს მოყვანა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 80 ცენტნერისა.

მნიშვნელოვანი ღონისძიებების განხორციელებას ვითვალისწინებთ პამიდორის მოსავლიანობის გადიდებისათვის. წელს პირველად ჩავატარეთ მზრალად ხვნა მთელ ფართობზე. განზრახული გვაქვს დავნერგოთ პამიდორისა და სხვა ბოსტნეული კულტურების ჩითილის გამოყვანა ტორფნეშომპალიან ქოთნებში. ამ მიზნით ზამთრის პერიოდში დავამზადებთ 50 ათას ცალ ასეთ ქოთანს. ამასთან საადრეო პამიდორის ჩითილის გამოსაყვანად მოვაწყობთ კვალსათბურს 600 ჩარჩოთი. ამ დანიშნულებისათვის უკვე გამზადებული გვაქვს 300 ჩარჩო.

სოფლის მეურნეობის დარგში პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანების განუხრელად განხორციელების საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მეცნიერების უახლესი მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების დანერგვას. ამ მიზნით კოლმეურნეობაში შექმნილია აგრონომიული კურსები, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ.

შ. სტურუა,

სამტრედიის რაიონის სოფელ კულაშის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის აგრონომი.

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲡᲐᲖᲠᲣᲜᲐᲕᲘ

ჯერ კიდევ ადრე, როცა ზოოვეტერინარულ ინსტიტუტში ვსწავლობდი, ჩემი მისწრაფება იყო რაც შეიძლება ახლო ვყოფილიყავ საკოლმეურნეო წარმოებასთან. ამისრულდა კიდეც ნატვრა. წელს ინსტიტუტი რომ დავამთავრე, ჯერ რაიონის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამმართველოში დავიწყე მუშაობა, ხოლო პარტიის მოწოდების შემდეგ — წითელწყაროს მტს-ის მთავარ ზოოტექნიკოსად.

თუ წინათ იშვიათად მიხდებოდა ყოფნა კოლმეურნეობათა მეცხოველეობის ფერმებში, ახლა ყოველდღე იქვარ, უმთავლოდ ვწვდები იმ საკითხებს, რომლებიც აღელვებს მეცხოველეობის მუშაკებს. ჩვენი მთავარი საზრუნავი ახლა ის არის, რომ სანიმუშოდ გამოვაზამთროთ პირუტყვი. ამასთან დიდი ყურადღება მივაქციეთ პირუტყვის უზრუნველყოფას ბინებით. სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის პირუტყვსა დამატებით მიიღო ერთი ტიპური სადგომი მეკამეჩეობის ფერმისათვის. მალე დამთავრდება მეძროხეობის სადგომის მშენებლობაც. ბინების მშენებლობა გაჰყოლია მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში.

ხორციელდება ღონისძიებანი მეცხოველეობის შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციისათვის. ახლო მომავალში მეცხოველეობის ფერმებში დავდგამთ ძირხვენების საჭრელ 7 მანქანას, კომბონის საფხვნელ 4 მანქანას, ერთ უნივერსალურ წისქვილს, საკვების 2 დამორთქლებელს, ავტომატურ სარწყულებლებს და სხვ. ზამთრის პერიოდში ფართოდ დავნერგავთ ნამჯის დაჭრას და დაორთქლას.

საკვები ბაზის განმტკიცების მიზნით კოლმეურნეობებში დათესეთ 298 ჰექტარი მრავალწლიანი და ერთწლიანი ბალახები, ხოლო სათივრად — 50 ჰექტარი საშემოდგომო ქერი. განზრახულია გვაქვს გაზაფხულზე უხვად დავთესოთ საკვები ძირხვენები, ბალჩეული კულტურები და სხვ. გავადიდებთ აგრეთვე სასილოსე კულტურების ნათეს ფართობს, მივაღწევთ იმას, რომ თვითეულ ძროხაზე დავამზადოთ 5-6 ტონა სილოსი.

მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის მეღორეობის ფერმაში, სადაც ძირითადად გვყავს მსხვილი თეთრი ჯიშისა და მასთან შეჯვარებით მიღებული პირუტყვი, შევარჩიეთ სანაშენო დედაღორები და დავსახეთ ჯიშობრივი გაუმჯობესების მომავალი ამოცანები.

ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ საბჭოთა ქვეყნისათვის სასიცოცხლო დარგის — მეცხოველეობის ახალი მძლავრი აღმავლობის მისაღწევად.

რ. გოგნაშვილი,

წითელწყაროს მტს-ის მთავარი ზოოტექნიკოსი.

ᲙᲔᲗᲘᲚᲨᲝᲑᲘᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ

მშობლიური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილების გამოქვეყნებამდე ქართველი მეტალურგების ქალაქ რუსთავში ვმუშაობდი უფროსი მებაღის თანამდებობაზე. საქმე, რომელსაც მე ვემსახურებოდი, მიმართული იყო კეთილშობილური მიზნისაკენ, — ახალგაზრდა ინდუსტრიული ქალაქის კეთილმოწყობა-გამშვენიერებისაკენ. მაგრამ როცა ჩვენი პარტიის მოწოდებას გავეცანი, მაინც სოფლად წასვლა გადავწყვიტე, რათა უშუალო მონაწილეობა მიმეღო სოციალისტური სოფლის მეურნეობის ახალი აღმავლობისათვის გაჩაღებულ სახალხო ლაშქრობაში.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს მივმართე თხოვნით — სამუშაოდ გამგზავნე რომელიმე მტს-ში ან კოლმეურნეობაში. ჩემი თხოვნა დაკმაყოფილეს. მალე მუშაობა დავიწყე. დუშეთის რაიონის სოფელ ბაზალეთის კოლმეურნეობაში.

კოლმეურნეობის წევრები გულთბილად შემხვდნენ, გამომიყვეს საცხოვრებელი ბინა, სამუშაო ოთახი, ერთი სიტყვით, შემიქმნეს ნორმალური მუშაობის ყველა პირობა.

ოქტომბერი იყო. კოლმეურნეობაში საშემოდგომო კულტურების — ხორბლისა და ქერის თესვა მიმდინარეობდა. ეს პასუხსაგები სამუშაო ჩვენ ვადაზე ადრე და მაღალხარისხოვნად შევასრულეთ. ნაცვლად 600 ჰექტარისა, დავთესეთ 648 ჰექტარი. მომავალი წლის უხვი მოსავლის საფუძველი ჩაყრილია — თესვისას ზუსტად ვიცავდით აგროწესებს.

ენერგიულად ვმუშაობდით ხეხილის ბაღებსა და ვენახებში. ბაღი, რომლის საერთო ფართობი 24 ჰექტარზე მეტია, რიგთაშორის დავამუშავეთ. ამჟამად ვაწარმოებთ მცენარეთა ძირების ირგვლივ შემობარვას. ეჭვი არ არის, რომ ბაღების მოვლა-პატრონობის გაუმჯობესებით მომავალ წელს მეხილეობა დიდ შემოსავალს მოგვცემს.

კოლმეურნეობას რვა ჰექტარზე მეტი ვენახი აქვს. ცუდი მოვლა-პატრონობით, რასაც გასულ წლებში ჰქონდა ადგილი, ვაზი ძალიან გამეჩხერებულია. ამ საკითხზე ვესაუბრე გამგეობის წევრებს. გადავწყვიტეთ მდგომარეობა უახლოეს ხანში გამოვასწოროთ.

კოლმეურნეობას არა ჰყავს ვაზის სხვლის სპეციალისტები. ზამთრის პერიოდში მოვამზადებთ რამდენიმე მსხვლელს. ამას გარდა, ზამთარში კოლმეურნეებს გავაცნობთ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის აგროტექნიკას. საუკეთესოდ მოვემზადებით საგაზაფხულო ხვნა-თესვისათვის.

წლების განმავლობაში ბაზალეთში ვერ ასრულებდნენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გეგმებს. მთელ ჩემს ენერგიას მოვახმარ მოსავლიანობის მკვეთრად ამაღლებისა და მეცხოველეობის ახალი აღმავლობის კეთილშობილურ საქმეს. ყოველდღიურად ვიბრძოლებ იმისათვის, რომ კოლმეურნეობამ კიდევ უფრო განამტკიცოს თავისი ეკონომიკა და გაზარდოს შრომადღის ხვედრი, პრაქტიკულად დავნერგავ და თვითეული კოლმეურნის კუთვნილებად გადავაქცევ საბჭოთა აგრობიოლოგიური მეცნიერების უახლეს მიღწევებს.

დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც სოფლად ვმუშაობ, მაგრამ უკვე დავრწმუნდი, თუ რა დიდი როლის შესრულება შეუძლია სპეციალისტს საკოლმეურნეო წარმოებაში. აგრონომის შრომა მართლაც მიმზიდველი და კეთილშობილურია!

კ. კოპალეიშვილი,

დუშეთის რაიონის სოფელ ბაზალეთის კოლმეურნეობის აგრონომი.

ᲞᲐᲠᲬᲘᲘᲡ ᲛᲝᲬᲝᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲐᲓ

ამ დღეებში აბაშის რაიონის კოლმეურნეობებში სამუშაოდ 25-მდე აგრონომი და ზოოვეტსპეციალისტი წავიდა. მათ შორის არიან რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამმართველოს მუშაკები აგრონომები შ. ქვილითაია, მ. ცომაია, შ. ჭანტურია, ზოოტექნიკოსი ვ. ცომაია და სხვები.

ნოღოხაშის მარქსის სახელობის კოლმეურნეობაში აგრონომად დაიწყო მუშაობა პარტიის აბაშის რაიკომის ინსტრუქტორმა ამხ. ნ. თოფურიამ.

ახალ ადგილებზე მისული სპეციალისტები მთელ თავიანთ ენერგიას, ცოდნასა და გამოცდილებას ახმარენ სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საქმეს.

ივ. თოფურია.

ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შემდეგ აგრონომად წავედი სოფელ ქოჩულის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში.

ჩემი მუშაობის მოკლე ხნის მანძილზე დაწერილებით გავეცანი კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობის ყოველ უბანს, მონაწილეობა მივიღე მთელი რიგი გადაუდებელი საკითხების გადაჭრაში.

წინათ კოლმეურნეობაში ცოტას ფიქრობდნენ აგროტექნიკაზე, ნიადაგში არასრული დოზით შეჰქონდათ სასუქები, რის გამო დაბალი იყო სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა.

კოლმეურნეები და მექანიზატორები ჩაებნენ მომავალი წლის უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში. კარგად იშრომა თამარისის მტს-ის მეხუთე სატრაქტორო ბრიგადამ (ბრიგადირი ამხ. ხალილოვი), რომელმაც წარმატებით განახორციელა საშემოდგომო თესვა. ამჟამად გაცხოველებული მუშაობაა მზრალად ხვნაზე, საგაზაფხულო თესვისათვის თესლების მომზადებაზე, ვენახების დამუშავებაზე.

კოლმეურნეობაში განმტკიცდა შრომის დისციპლინა, მოწესრიგდა შრომის ორგანიზაცია, წესრიგზე მოყვანილ იქნა აღრიცხვა.

არ დავიშურებ ჩემს ცოდნასა და ენერგიას იმისათვის, რომ კოლმეურნეობამ მომავალ წელს მოიყვანოს სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავალი და ჩადგეს მოწინავეთა რიგებში.

ბ. ბოჭორიშვილი,

ბოლნისის რაიონის სოფელ ქოჩულის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის აგრონომი.

ავამაღლოთ ჩამორჩენილი კოლმეურნეოგები მოწინავეთა დონემდე

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილების განხორციელებისათვის ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა აქვს ჩამორჩენილ კოლმეურნეობათა წამოწევას მოწინავეთა დონემდე. თერჯოლის რაიონში წლითიწლობით იზრდება ეკონომიურად მძლავრ კოლმეურნეობათა რიცხვი.

ავიღოთ, მაგალითად, ლენინის სახელობის კოლმეურნეობა, რომელსაც 12 წელზე მეტია ხელმძღვანელობს საკოლმეურნეო წარმოების უნარიანი ორგანიზატორი კ. მურადაშვილი. კოლმეურნეობამ უკანასკნელ წლებში საგრძნობლად აამაღლა ყურძნისა და მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა, სისტემატურად ასრულებს საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობის გეგმას. წელს კოლმეურნეობამ მსხმოიარე 28 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 90 ცენტნერი ყურძენი მიიღო. ყოველწლიურად იზრდება კოლმეურნეობის განუყოფელი ფონდები და უმჯობესდება კოლმეურნეთა კეთილდღეობა. უხვ მოსავალს იღებენ აგრეთვე საზანოს, ზედა ალისუბნის და სიქთარვის კოლმეურნეობები. მიუხედავად ამისა, მთლიანად რაიონში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების დონე ჯერ კიდევ დაბალია. რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში ძალიან მცირეა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობა. განსაკუთრებით ეს ითქმის ეწერის, სიმონეთის, ჩხარის და ქვედა ალისუბნის კოლმეურნეობებზე.

ჩამორჩენილ კოლმეურნეობათა სწრაფად დაწინაურება მოწინავეთა დონემდე რაიონს შესაძლებლობას მისცემს მკვეთრად გაადიდოს ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება. ეს რაიონის პარტიული ორგანიზაციის პირველი რიგის ამოცანაა.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ჩამორჩება ის კოლმეურნეობა, სადაც ხელმძღვანელი ცუდად არის შერჩეული, სადაც მოუწესრიგებელია შრომა, შემოკრებილი არ არის აქტივი, ჩაშლილია პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა.

წლების განმავლობაში ჩამორჩენილი იყო სოფელ თერჯოლის კოლმეურნეობა „განთიადი“. წინათ ამ კოლმეურნეობაში შრომადღეზე უმნიშვნელო რაოდენობით ანაწილებდნენ ხორბალს. რაიონულმა კომიტეტმა შეისწავლა კოლმეურნეობა, გამოარკვია მისი ჩამორჩენის მიზეზები, მიიღო ზომები ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. კოლმეურნეობის თავმჯდომარედ დაწინაურებულ იქნა აგრონომი ლ. ჩუბინიძე. მან უნარიანად მოაწესრიგა კოლმეურნეობაში შრომა, დარაზმა კოლმეურნენი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დროზე და აგროტექნიკური წესების ზუსტი დაცვით შესრულებისათვის. ხელმძღვანელობის გაუმჯობესებამ ის შედეგი გამოიღო, რომ წელს კოლმეურნეობამ სასოფლო-სამეურნეო კულტურების კარგი მოსავალი მიიღო. მაგალითად 226 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 18 ცენტნერი სიმინდი, შრომადღეზე უკვე ავანსად გაცემულია 2,5 კილოგრამი სიმინდი, ხოლო წლის ბოლოსათვის 5 კილოგრამის გაცემას ვარაუდობენ. შარშანდელთან შედარებით აქ წელს თითქმის ერთნახევარჯერ მეტი ყურძენი მოკრიფეს.

შეიძლება მოყვანილ იქნას იმის ბევრი მაგალითი, როცა კადრებით სერიოზულად განმტკიცებისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციის მუშაობის გაუმჯობესების შედეგად წინათ ჩამორჩენილი კოლმეურნეობა სწრაფად დგება ფეხზე, გამოდის მოწინავეთა რიგებში. ეს მაგალითები გვიჩვენებენ, რომ კოლმეურნეობათა და მტს-ის განმტკიცება კვალიფიციური, გამოცდილი კადრებით სოფლის მეურნეობის აღმავლობის ერთ-ერთი გადამწყვეტი პირობაა. რაიკომი ახორციელებს პრაქტიკულ ღონისძიებებს იმისათვის, რომ ყველა კოლმეურნეობას სათავეში ყავდეს გამოცდილი, უნარიანი ორგანიზატორი.

რაიკომს მოუხდება დიდი მუშაობა გასწიოს იმისათვის, რომ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები იყვნენ მოწინავე გამოცდილების გავრცელებისათვის თავდადებული მებრძოლნი, რომ ისინი ეწეოდნენ ყოველივე ახლის, პროგრესულის ფართო პროპაგანდას, საკოლმეურნეო წარმოებაში ნერგავდნენ შრომის ყველაზე რაციონალურ მეთოდებს და მეცნიერების მიღწევებს.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ იქ, სადაც პირველადი პარტიული ორგანიზაცია ღრმად სწვდება საკოლმეურნეო წარმოების საკითხებს, საარტელო მეურნეობაც წინ მიდის. ამის მაგალითს წარმოადგენს კოლმეურნეობა „განთიადის“ პარტიული ორგანიზაცია, რომელსაც უნარიანად და საქმიანად ხელმძღვანელობს აგროტექნიკოსი კ. ძოწენიძე. სამწუხაროდ, რაიონის ბევრი საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაცია ჯერ კიდევ სუსტად მუშაობს. მნიშვნელოვანწილად ამით აიხსნება, რომ რაიონის კოლმეურნეობებში დიდად ჩამორჩება საშემოდგომო თესვისა და საკვების დაგროვების გეგმების შესრულება.

ამჟამად რაიონის პარტიულ ორგანიზაციებში მიმდინარეობს საანგარიშო-საარჩევნო კრებები. კომუნისტები მთელი პირდაპირობით ამხილებენ პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს, სახავენ კონკრეტულ ღონისძიებებს მათ აღმოსაფხვრელად, ავლენენ ახალ რეზერვებს სოფლის მეურნეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობ

საბჭოთა კავშირ-ინდოეთის კომუნიკე სავაჭრო შეთანხმების დადების შესახებ

წარმატებით დამთავრებული მოლაპარაკების შედეგად, რომელიც მეგობრული ურთიერთგაგების ვითარებაში მიმდინარეობდა, 1953 წლის 2 დეკემბერს დელში სსრ კავშირსა და ინდოეთს შორის დაიდო სავაჭრო შეთანხმება ხუთი წლის ვადით. შეთანხმება ითვალისწინებს ყოველი ღონისძიებით განვითარდეს და განმტკიცდეს სავაჭრო ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთსარგებლობის საფუძველზე.

ამ შეთანხმებით, რომელიც პირველი სავაჭრო შეთანხმებაა სსრ კავშირსა და ინდოეთს შორის, წესდება ამ ორ ქვეყანას შორის ვაჭრობისა და ნაოსნობის რეჟიმი, აგრეთვე ურთიერთ ანგარიშსწორების წესი.

ინდოეთის იმ საქონელში, რომელსაც შეთანხმების მიხედვით ინდოეთი საბჭოთა კავშირში შემოიტანს შეთანხმების მოქმედების პირველ წელს, შედის: ჯუტის ნაწარმი, ჩაი, ყავა, თამბაქო, შელაკი, პილპილი და სხვა სანელებელი, მატყლი, ტყავები, მცენარეული და ეთეროვანი ზეთები და მთელი რიგი სხვა საქონელი.

სსრ კავშირიდან ინდოეთში გასატანი საბჭოთა საქონლის სიაში შეტანილია: მარცვლეული პროდუქტები (ხორბალი, ქერი), ნავთობი და ნავთობის პროდუქტები, ხე-ტყის მასალა და ქაღალდი, რკინისა და ფოლადის ნაწარნი, ქიმიკალიები, საღებრები, მედიკამენტები, ოპტიკა, კინოფილმები, ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებნი და სხვა საქონელი, აგრეთვე ფართო ნომენკლატურის სამრეწველო მოწყობილობა, მათ შორის საბურღავი, შახტისა და საგზაო მშენებლობის მოწყობილობა, ექსკავატორები, კომპრესორები, ელექტრომოწყობილობა, საფეიქრო, ფეხსაცმლის, კვებისა და პოლიგრაფიული მრეწველობის მოწყობილობა, ტრაქტორები და სასოფლო-სამეურნეო მანქანები, სხვადასხვა ჩარხები და ინსტრუმენტები.

სავაჭრო შეთანხმების ხელმოწერასთან ერთად მხარეებმა გაცვალეს წერილები ინდოეთში სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობის დაარსებისა და სტატუტის შესახებ და საბჭოთა კავშირის მიერ იმ ტექნიკური დახმარების გაწევის შესახებ, რაც დაკავშირებულია ინდოეთისათვის საბჭოთა მოწყობილობის მიწოდებასთან.

საბჭოთა მხრივ შეთანხმებას ხელი მოაწერა სსრ კავშირის ელჩმა ინდოეთში მ. ა. მენშიკოვმა, ინდოეთის მხრივ — ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრის პირველმა მოადგილემ აიენგარმა.

სტალინის სახელობის სუხუმის თამბაქოს ფაბრიკა წარმატებით ასრულებს საწარმოო გეგმას და სისტემატურად იძლევა ზეგეგმით პროდუქციას. სურათზე: ფაბრიკის მოწინავე ადამიანები კონტროლიორი ნ. ლაზარეიშვილი და კოლოფებში პაპიროსის ჩამწყობი მემანქანე მ. ვორობიოვა.

ფოტო ვ. ჩერკასოვისა.

სტუმრად ბოლნისელ სოფლის მეურნეობის მუშაკებთან

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის მუშაკები, გამსჭვალულნი იმის სურვილით, რომ საქმით უპასუხონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილებას, თავიანთ დასასვენებელ დღეს წავიდნენ ბოლნისში. საოპერო თეატრის მნიშვნელობისა და მუშაობის შესახებ საინფორმაციო ანგარიშის შემდეგ გაიმართა დიდი თეატრალური კონცერტი.

სოფლის მეურნეობის მუშაკები სულგანაბულნი ისმენდნენ ოპერა „დაისის“ მონტაჟს ისეთ სახელგანთქმულ მსახიობთა შესრულებით, როგორიც არიან სსრ კავშირის სახალხო არტისტი პ. ამირანაშვილი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ვ. ხამიშურიძე, გ. გეგუჩაძე და ნ. მიქელაძე. მაყურებლები აღტაცებული იყვნენ სიმღერით, სიმართლით აღსავსე ოსტატური თამაშით, გრიმით, რომელსაც საყვარულით ასრულებს თეატრის საგრიმიორო სამქროს გამგე ა. კერვალიშვილი, აღფრთოვანებით ისმენდნენ ოპერის სხვადასხვა მელოდიას, რომლებიც ოპერაში ოსტატურად ჩაქსოვილია დიდი ქართველი კომპოზიტორის ზ. ფალიაშვილის მიერ. თეატრალიზებული ნაწყვეტი ოპერა „აბესალომ და ეთერიდან“ ნაჩვენები იქნა ზ. ანჯაფარიძისა და პ. ამირანაშვილის შესრულებით.

ცეკვებში, რომლებიც მაყურებელმა გულთბილად მიიღო, მონაწილეობდნენ ბალეტის მსახიობები ა. დვალი, ვ. გუნაშვილი, შ. ჩირაძე, ი. ორჯონიკიძე.

მეორე განყოფილებაში ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებებთან ერთად შესრულებულ იქნა რუსული და უცხოეთის კლასიკის ნაწარმოებნი. მაყურებელნი ყურადღებით ისმენდნენ მსახიობ ა. პირკუსის შესრულებით „ცილისწამებას“, დემოკრატიული ახალგაზრდობის ჰიმნს და სხვა სიმღერას. როგორც საქმისადმი სათუთი დამოკიდებულება, ისე დიდი პროფესიული ოსტატობა გამოავლინა პ. ამირანაშვილმა, რომელიც ასრულებდა კიაზოს და მურმანის როლებს. კონცერტის დასასრულს მან აგრეთვე იმღერა რიმსკი კორსაკოვის მიზგირის არია, ფალიაშვილის ინკუბუსის კუპლეტები და როსინის ფიგაროს კავატინა. მსმენელები აღტაცებული იყვნენ მსახიობის ოსტატობით.

კონცერტის დამთავრების შემდეგ მსმენელებმა სცენაზე გამოიწვიეს კონცერტის ყველა მონაწილე. აქ იყვნენ სცენის მემანქანე დ. პაპავაძე, სცენის მუშა ა. დოლიძე, თეატრის თანამშრომელი კ. ბოლქვაძე, პარტიული ორგანიზაციის მდივანი შ. ქუთათელაძე, რომელიც კონცერტის კონფერანსიე იყო, მკერავები ე. სარიშვილი, ე. აივაზოვა, რომლებმაც ბევრი იშრომეს ასეთი დიდი თეატრალიზებული კონცერტის მოსაწყობად, კონცერტმეისტერები ი. გორდონი და ი. ქშონქერი.

სცენაზე გამოვიდნენ მიხა ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანი ი. ჟუჟუნაშვილი და ბოლნისის მტს-ის პარტიული ორგანიზაციის მდივანი ვ. ბერძენიშვილი. მათ მხურვალე მადლობა გადაუხადეს თეატრის კოლექტივს დიდი კულტურული დასვენებისათვის და პირობა დადეს, რომ მკვეთრად გაუმჯობესებენ მუშაობას.

ბოლნისის რაიონში სოფლის მეურნეობის ოსტატებთან გატარებული ორი საღამო ჩვენი მუშაკების ხსოვნაში დარჩება როგორც შემოქმედებითი დღესასწაული. ამ ორმა საღამომ ბევრი რამ მისცა ჩვენს მუშაკებსაც, ნათლად დაანახვა მათ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ხელოვნებას, როცა იგი მიმართულია ფართო მოსახლეობის მუდმივ მზარდ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. თეატრის ასეთი გასვლა უაღრესად საჭიროა სოფლად კულტურული მუშაობის აღმავლობისათვის.

დ. მჟედლიძე,

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორი.

სამგრედიის რაიონის საწარმოებში

ავეჯი გეგმის გადამეტებით

სტალინის სახელობის ქუჩაზე, კულტურისა და დასვენების პარკის წინ განსხვავებულია სამტრედიის რაიაღმასკომის სამრეწველო კომბინატის ავეჯის მაღაზია. ამ მაღაზიას სახელი გაუთქვა კომბინატის საავეჯო სამქროში დამზადებულმა საუკეთესო ხარისხის ავეჯმა, რომელსაც მომხმარებლები დიდად ეტანებიან.

საავეჯო სამქროს კოლექტივის (გამგე ინჟინერი ა. ჩიქოვანი) სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან 30 ნოემბრისათვის წლიური გეგმის გადამეტებით უკვე მოგვცა 96.813 მანეთის ავეჯი.

ქალისა და მამაკაცის რეზინის ჩექმები

არტელ „პირველი მაისის“ საწარმომ, რომელიც ერთ-ერთი დიდი საწარმოა რესპუბლიკის სარეწაო კოოპერაციის სისტემაში, წელს განვლილ ათ თვეში 25.880 წყვილი ქალის და მამაკაცის რეზინის ჩექმა გამოუშვა ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 20.000 წყვილისა.

არტელის კოლექტივმა იკისრა წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გამოუშვას 6.000 წყვილი რეზინის ჩექმა.

ბამბის ქსოვილები

ნაყოფიერად იმუშავა წელს სარეწაო კოოპერაციის არტელმა „წითელმა ტრიკოტაჟმა“, რომელმაც 10 თვეში წლიური გეგმის გადამეტებით 1.098.700 მანეთის პროდუქცია გამოუშვა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ არტელის საფეიქრო სამქროს წარმატება. მიმდინარე წლის განვლილ თვეებში აქ გეგმის გადამეტებით 10.125 მეტრი ბამბის ქსოვილები გამოუშვეს.

ვ. კოკალეიშვილი,

„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

აღვკვეთოთ ავტომობილების ხელოვნური საეჭვო ყიდვა-გაყიდვა

წლითიწლობით უმჯობესდება მშრომელთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობა. ამასთან დაკავშირებით თვალსაჩინოდ გაიზარდა მათი მოთხოვნილებანი და საჭიროებანი. საბჭოთა მოქალაქეები, კომუნიზმის მშენებელი რიგითი მუშაკები საკუთარი დანაზოგებით სულ უფრო მეტი რაოდენობით იძენენ ძვირფას საოჯახო ნივთებს, ავეჯს, მსუბუქ ავტომანქანებს.

ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის სხვა რესპუბლიკებში, საქართველოს დედაქალაქ თბილისშიც გახსნილია ავტომობილის სავაჭრო სპეციალიზებული მაღაზია. იგი მოწოდებულია დაკმაყოფილოს მომხმარებლის მზარდი მოთხოვნილება პირადი მოხმარების საავტომობილო ტრანსპორტზე.

აღნიშნული მაღაზიის კოლექტივს ერთგვარი წარმატება აქვს საქონელბრუნვის, მოგების გეგმების შესრულებაში, მაგრამ ამ წარმატებებთან ერთად მაღაზიას (დირექტორი ი. ჯიბრაილოვი) და „გლავმაშსბიტის“ საქართველოს რესპუბლიკურ კანტორას (მმართველი ა. მიქაძე) სერიოზული ნაკლოვანებებიც აქვთ. მაღაზიაში მოგვარებული არ არის ავტომობილის შეძენის მსურველთა აღრიცხვა, რასაც მეორე წელია „მომხმარებელთა მიერ არჩეული“ თვითმარქვია კომისია აწარმოებს. ეს კომისია მხოლოდ კვირადღეობით არის მაღაზიაში. მიუხედავად ამისა, აქ ჩამოსულ მყიდველებს ყოველთვის კომისიაზე მიუთითებენ და ამით უქმნიან დაბრკოლებას რიგის დაკავებაში. აღსანიშნავია ისიც, რომ შემოღებულია რიგში მდგომთა პერიოდული რეგისტრაცია. ესეც ძალიან აფერხებს მანქანების ყიდვას, განსაკუთრებით სოფლის მცხოვრებთათვის. სწორედ ამით არის გამოწვეული, რომ მაღაზიაში წელს გაყიდული ავტომობილების 50 პროცენტზე მეტი თბილისელებზე მოდის. ავტომობილის მომხმარებელთა აღრიცხვისა და მათი რიგის საკითხი დაუყოვნებლივ მოწესრიგებას საჭიროებს. ავტომობილის გაყიდვა ისე უნდა მოეწყოს, რომ სოფლის მცხოვრებლებმაც მეძლონ მისი თავისუფლად შეძენა.

რამდენიმე თვის წინათ ავტომობილის შეძენის 1.500-მდე მსურველი იყო აღრიცხული. მათი დაკმაყოფილებისათვის დაახლოებით ერთი წელი იყო საჭირო. ამიტომ გასაგები უნდა ყოფილიყო მომხმარებლის კანონიერი მოთხოვნა — რიგის მტკიცედ დაცვა. მაგრამ აღნიშნული კანტორისა და მაღაზიის მუშაკებმა ეს მოთხოვნა უყურადღებოდ დატოვეს. მიმდინარე წლის 16 სექტემბერს მიღებული „პობედის“ მარკის 15 ავტომობილიდან 14 რიგს გარეშე გაყიდეს.

მყიდველთა სამართლიან საყვედურსა და გაკვირვებას იწვევენ „მომხმარებლები“, რომლებიც რიგს გარეშე იძენენ ავტომობილებს და შეძენისთანავე დაუსრულებელ საეჭვო ყიდვა-გაყიდვას ეწევიან.

აი რამდენიმე მაგალითი.

თბილისში, უნივერსიტეტის ქ. № 48 მცხოვრებმა ი. სარჯველაძემ 4 წლის განმავლობაში 5 ავტომობილის ყიდვა-გაყიდვა მოასწრო. მეხუთე ავტომობილის გაყიდვისას, როგორც იქნა, თბილისის ავტოინსპექციაში განზრახვას მიუხვდნენ და თხოვნა არ დააკმაყოფილეს. მაშინ ი. სარჯველაძემ კვლავ მაღაზიას მიმართა — მიმველეთ, ეს „მოსკვიჩი“ ძმისთვის შევიძინე, მას თურმე მანქანა კი არა, ფული სდომებიაო, და მანქანის მაღაზიაში უკან დაბრუნება ითხოვა. აქ ამ მუდმივი კლიენტის თხოვნა უსიტყვოდ დაკმაყოფილეს, ავტომანქანა, რომელსაც უკვე გავლილი ჰქონდა 180 კილომეტრი, მიიღეს და მისი ღირებულება მთლიანად უკან დაუბრუნეს.

ავტომანქანების ყიდვა-გაყიდვაში მარტო ი. სარჯველაძეს როდი გაითქვა სახელი. ს. ბაგმანოვმა (ქართველთა ქ. № 30) ოთხიოდე წლის განმავლობაში დასახელებულ მაღაზიაში 5 ავტომობილის შეძენა მოახერხა. ამჯერად მას ორი ავტომანქანა აქვს, ერთი „ზიმი“ და მეორე „პობედა“. დანარჩენის ყიდვა-გაყიდვა უვნებლად შეძლო. ავტომანქანებს ხშირად ყიდულობენ და ყიდიან დავითაშვილის ქ. № 22 სახლში მცხოვრები ისმაილ მამედის-ძე ალიევი და სხვ.

ავტომობილის ყიდვა-გაყიდვას ზოგიერთი ინტელიგენტიც არ უკადრისობს. ნინოშვილის ქ. № 3-ბ სახლის ეზოში დგას № 09-78 „პობედა“, რომლის ახლით შეცვლა რამდენიმე თვის წინათ განიზრახა ამ მანქანის მფლობელმა ი. გიგინეიშვილმა. ერთი შეხედვით „ძველი“ ავტომობილის ახლით შეცვლაში თითქოს ცუდი არაფერია, მაგრამ აქ მარტო ამაში როდია საქმე. ი. გიგინეიშვილი მაღაზიაში 16.000 მანეთად შეძენილ, ამჟამად „მოძველებულ“ მანქანას 8.000 კილომეტრის გარბენს შემდეგ 24.000 მანეთზე ნაკლებ არ ჰყიდის. თვითონ კი მაღაზიაში 16.000 მანეთად ახალი მანქანის შეძენისათვის ემზადება.

საკითხავია, რისთვის სჩადიან ამას? რატომ უწყობენ ხელს აღნიშნული მაღაზიისა და კანტორის მუშაკები ასეთ მომხმარებლებს ახალ-ახალი ავტომობილების შეძენაში?

ისინი ამბობენ — „ზევიდან გვირეკავენ და აბა მაშ რა ვქნათო“. მაგრამ, ირა გვგონია, რომ ეს ასე იყოს. ავტომობილების ყიდვა-გაყიდვაში გაქნილ აშკარა სპეკულანტებს ამ მაღაზიისა და კანტორის ზოგიერთი მუშაკები თვითონ უწყობენ ხელს დანაშაულში. სხვანაირად არ შეიძლება შეფასდეს, მაგალითად, სარჯველაძის მიერ ოთხი წლის მანძილზე 5 მანქანის შეძენა და გაყიდვა. ვეკითხებით ამხ. მიქაძეს და თბილისის ავტოინსპექციის მუშაკებს: ნუთუ ასე ძნელია დადგენა ვინ და რა მიზნით იძენს ავტომანქანას?

თბილისში ჯერ კიდევ არიან ავტომობილის უკანონო მომხმარებლები. ისინი არ ეწევიან საზოგადო სასარგებლო შრომას, ავტომობილებით სპეკულაციას აქცევენ შემოსავლის წყაროდ, განუწყვეტლივ მიმორბიან ქალაქის ერთი უბნიდან მეორეში, მატარებლის მოსვლის წინ რკინიგზის სადგურებს მოინახულებენ და სადგურის წინ მანამდე ირბენენ, ვიდრე მუშტარს არ იმოვნიან. სადგურთან, საკოლმეურნეო ბაზრებთან და სხვა ასეთ ადგილებზე იშვიათად როდი ნახავთ მუშტრის საძებრად მდგომ ან დაუსრულებლად მორბენალ №№ 00-25, 17-71, 21-75, 20-74, 05-72, 24-36, 52-80, 20-57, 16-21, 17-05, 17-93 და სხვა ავტომანქანების პატრონებს. მოხალტურე მძღოლები სხვა დანაშაულსაც სჩადიან, სისტემატურად არღვევენ მოძრაობის წესებს, კლიენტთა შოვნის მოლოდინში ხშირად ჩერდებიან იქ, სადაც დგომა არ შეიძლება, მანქანებს მოაბრუნებენ ხოლმე იქ, სადაც ნიშანი არ არის; მოსწრების მიზნით ყველგან ავითარებენ დიდ სიჩქარეს და აფერხებენ ნორმალურ მოძრაობას.

პირადი სარგებლობის ავტოტრანსპორტის არაადანიშნულებისამებრ გამოყენების, საეჭვო ყიდვა-გაყიდვის აღკვეთა, ავტომობილის სწორი ექსპლოატაცია, მოძრაობის წესების დაცვა დამოკიდებულია ტრანსპორტის დარგში მომუშავე მილიციის მუშაკებზე, საგზაო და სხვა ავტოინსპექტორების ერთობლივ მოქმედებაზე ყოველგვარი დარღვევის წინააღმდეგ. ავტოინსპექტორების ნაწილი უდავოდ ეწევა ერთგვარ მუშაობას, მაგრამ საერთოდ მათი საქმიანობა განსაკუთრებით მეხალტურეთა წინააღმდეგ ბრძოლაში ჯერ კიდევ მოისუსტებს. ეს იქიდანაც ჩანს, რომ მიმდინარე წლის ივნისიდან ნოემბრამდე ხალტურისათვის გამოყენებული არც ერთი ავტომობილის კონფისკაცია არ მომხდარა. მოხალტურეთა გამოვლინება, მათი დანაშაულზე წასწრება არც ისე ძნელია, როგორც ეს მილიციის ზოგიერთ მუშაკს ჰგონია. მოხალტურეთა წინააღმდეგ საჭიროა მხოლოდ სისტემატური ბრძოლა მშრომელთა ფართო მონაწილეობით.

დასასრულ ერთი საჭირბოროტო საკითხის შესახებ. ნახმარი ავტომობილის ბევრ გამყიდველსა და მყიდველს არ სურს სხვადასხვა ბაზარზე სიარული მანქანის გასაყიდად თუ საყიდლად. ამჟამად მომწიფებულია პირობები ნახმარი ავტომობილის საკომისიო მაღაზიის გახსნისათვის. ამ მაღაზიაში საჭიროა ხდებოდეს ავტომობილების სახელმწიფო ყიდვა-გაყიდვა. ეს მანქანების სპეკულანტურ ფასებში ყიდვა-გაყიდვის აღმოფხვრის ერთ-ერთი მთავარი პირობა იქნება.

როგორც აღნიშნული ფაქტები მოწმობენ, „გლავმაშსბიტის“ საქართველოს რესპუბლიკური კანტორისა და მისი სპეციალიზებული მაღაზიის ზოგიერთი მუშაკის ხელშეწყობით თავისუფლად დანავარდობენ ავტომობილების ყიდვა-გაყიდვის მოყვარულნი. საჭიროა სასწრაფოდ აღკვეთოთ ასეთი უმსგავსოებანი და ყოველგვარი პირობა შევქმნათ მომხმარებელთა გაზრდილი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის, მათი კულტურული მომსახურებისათვის.

გ. ხენგავა.

მაღალ დონეზე დავაყენოთ კლასიკოსების თხზულებათა გამოცემის საქმე

მარქსიზმის კლასიკოსები მუდამ ილაშქრებდნენ კულტურული მემკვიდრეობის უგულებელყოფის წინააღმდეგ. ენგელსი თავის ცნობილ შრომაში „ანტიდიურინგი“ მწვავედ აკრიტიკებდა დიურინგს კლასიკური ლიტერატურისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულების გამო, ხოლო ვ. ი. ლენინმა მკაცრად დაგმო ბოგდანოვის მავნე თეორია, რომელიც მოითხოვდა პროლეტარული კულტურის „შიშველ ნიადაგზე“ შექმნას, კლასიკური მემკვიდრეობის უარყოფას.

„მარქსიზმმა, როგორც რევოლუციური პროლეტარიატის იდეოლოგიამ, — წერდა ვ. ი. ლენინი სტატიაში „პროლეტარული კულტურის შესახებ“, — თავისი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა მოიპოვა იმით, რომ მარქსიზმმა არათუ უკუაგდო ბურჟუაზიული ეპოქის უძვირფასესი მონაპოვარნი, არამედ, პირიქით, შეითვისა და გადაამუშავა ყველაფერი, რაც კი ძვირფასი იყო ადამიანის აზრისა და კულტურის ორიათას წელზე უფრო ხანგრძლივ განვითარებაში“ (ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 31, გვ. 381).

საბჭოთა ხალხს უყვარს ჩვენი მხატვრული ლიტერატურის კლასიკოსები, რომლებმაც სოციალური და ეროვნული ჩაგვრის პერიოდში მას გაუადვილეს ბრძოლა თავისუფლებისათვის, განავითარეს პროგრესული იდეები, იწინასწარმეტყველეს ხალხის ნათელი მომავალი. საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ, რომლებიც ხელმძღვანელობენ მარქსისტულ-ლენინური თეორიის ყოვლისმძლე იდეებით, ყველა პირობა შექმნეს, რომ ღრმად შევისწავლოთ და კრიტიკულად ავითვისოთ ჩვენი ხალხის მრავალსაუკუნოვანი კულტურის საგანძური, მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა, მისგან შევითვისოთ და შევისისხლხორცოთ ყველაფერი, რაც პროგრესულია და გვეხმარება კომუნიზმისაკენ წინსვლაში.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ კლასიკური ლიტერატურული მემკვიდრეობის მეცნიერულად აკადემიური გამოცემაში, როგორც საერთოდ საბჭოთა კავშირში, ისე კერძოდ საქართველოში ბევრი რამ გაკეთდა. რესპუბლიკაში შეიქმნა მძლავრი სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებები, სადაც ლიტერატურის კლასიკური მემკვიდრეობის შესწავლამ თვალსაჩინო ადგილი დაიკავა.

უკანასკნელ ათეულ წლებში გამოიცა ქართული ლიტერატურის კლასიკოსთა მრავალი თხზულება. თვალსაჩინო მუშაობაა გაწეული შ. რუსთაველის, დ. გურამიშვილის, სულხან-საბა ორბელიანის, ბესიკის, გრ. ორბელიანის, ა. ჭავჭავაძის, ნ. ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, რ. ერისთავის, ვაჟა-ფშაველას, ა. აზაბეგის, გ. წერეთლის, შ. არაგვისპირელის, დ. კლდიაშვილის და სხვა ქართველ მწერალთა ნაწერების ტექსტების დადგენასა და გამოცემაში.

მიუხედავად ამისა, ქართველ კლასიკოსთა გამოცემის საქმე სერიოზულად ჩამორჩა საბჭოთა მკითხველის გაზრდილ მოთხოვნილებას. ამ საქმეში ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები და შეცდომები. ხანგრძლივი კვლევა-ძიების მიუხედავად დღემდე ვერ მოხერხდა „ვეფხისტყაოსნის“ — ქართული კლასიკური ლიტერატურის ამ უკვდავი ძეგლის ერთიანი, მეცნიერულად დადგენილი ტექსტის ღირსეულად გამოცემა.

დიდი ხანია დღის წესრიგში დადგა დ. გურამიშვილისა და ბესიკის თხზულებათა ხელახალი აკადემიური გამოცემის საკითხი, მაგრამ მის გადაწყვეტაზე არავინ ზრუნავს.

ნაკლოვანებებია XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის კლასიკოსთა გამოცემის საქმეში. ვერ დავასახელებთ XIX საუკუნის ისეთ ქართველ მწერალს (გარდა ალექსანდრე ყაზბეგისა, გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“, 1948-1950 წ., რედაქტორი ს. ჩიქოვანი), რომლის თხზულებათა სრული კრებულის აკადემიური გამოცემა მოგვეპოვებოდეს. 1930 წელს დაწყებული ვაჟა-ფშაველას თხზულებათა სრული კრებულის შვიდტომეულის გამოცემა დღესაც დაუმთავრებელია. 1931 წელს დაიწყო ნ. ნიკოლაძისა და გ. წერეთლის თხზულებათა ტომების ბეჭდვა, მაგრამ მხოლოდ I და II ტომები გამოვიდა. ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის საიუბილეო ტომების გამოცემა, რაც ათი-თხუთმეტი წლის წინათ დაიწყო, შეუწყნარებლად გაჭიანურდა. ი. ჭავჭავაძის ხუთტომეულის მხოლოდ 3 ტომია გამოსული, ისიც ძლიერ დაგვიანებით, ხოლო ა. წერეთლის თხზულებების გამოცემა მე-5 ტომზე შეჩერდა.

კლასიკოსების თხზულებათა კრებულების გამოცემის ჩაშლაში ბრალი მიუძღვით უპირველეს ყოვლისა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტს და სახელგამს.

ინსტიტუტი ზოგჯერ დროზე ვერ აწვდიდა გამომცემლობას დასაბეჭდად მომზადებულ ტექსტს, ხოლო გამომცემლობა ჩაბარებულ ტექსტსაც ვერ უვლიდა, დროზე არ ბეჭდავდა. როგორც ცნობილია, სახელგამში წლების მანძილზე ფეხი ჰქონდა მოკიდებული ბიუროკრატიზმს, უყაირათობას, საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას, რამაც ასეთი ცუდი შედეგი მოგვცა.

შეუწყნარებლად გაჭიანურდა ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის თხზულებათა ახალი, აკადემიური გამოცემა, რომლის ტექსტის მომზადება დავალებული აქვს რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტს, ხოლო გამოცემა — სახელგამს. ი. ჭავჭავაძის თხზულებათა ათტომეულის (რედაქტორი პ. ინგოროყვა) და ა. წერეთლის თხზულებათა თხუთმეტტომეულის გამოცემა 1950 წელს დაიწყო. ხელმოწერილ ამ ორ ტომს ... (redacted) ... ეს ამონაწერი უკომენტაროდაც აშკარად მოწმობს აღნიშნულ საკითხზე მკვლევარ პ. ინგოროყვას მცდარ შეხედულებას. არ შეიძლება ი. ჭავჭავაძეს მივაწეროთ, თითქოს მას არასწორი წარმოდგენა ჰქონდა რუსული კლასიკური ლიტერატურის ისეთ შედევრზე, როგორიც არის „მკვდარი სულები“. რა საფუძვლით უნდა დავწამოთ გოგოლის შემოქმედების შეუფასებლობა და გაუგებლობა ი. ჭავჭავაძეს, რომელიც მთელი გულწრფელობით აცხადებდა: „თვითეული ჩვენგანი რუსული ლიტერატურით გაზრდილა, თვითეულს ჩვენგანს მის გამონარკვევზე აუგია თავისი რწმენა, თავის მოძღვრება და თავისი საგანი ცხოვრებისა საზოგადო საქმისათვის ამ გამონარკვევის მიხედვით გამოურჩევია“ (ი. ჭავჭავაძე. თხზ., ტ. VIII, 1928 წ. გვ. 285).

ილია ჭავჭავაძის ახალი აკადემიური გამოცემა ხშირად სცოდავს ტექსტის სიზუსტის მხრივაც. II ტომში შეტანილია დიდი მწერლის სახელისათვის შეუფერებელი მდარე „ნაკვესები“ ებრაელის შესახებ, აგრეთვე სომხისა და ქართველის სინდის-ნამუსის შესახებ (იხ. ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. II, გვ. 575). რაც მთავარია, დედანში ეს უკანასკნელი ნაკვესი, რომელიც ი. ჭავჭავაძეს სრულებით არ ეკუთვნის, გადახაზულია, ე. ი. უარყოფილია.

სერიოზული ნაკლოვანებები ახასიათებს აკაკი წერეთლის თხზულებათა აკადემიური გამოცემის პირველ ორ ტომს (რედაქტორი გ. აბზიანიძე). უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს პირველ ტომში რამდენიმე მდარე ლექსის და ისიც უკომენტაროდ შეტანა („მარიამს“, „ეპიტაფია“, „ქალის პასუხი“, „შევარდნაძე დამემტერა“, „კუბოს მზიდავები“, „ვარსკვლავთმრიცხველი“, „ხმა“ და სხვ.), რაც გაუგებარს ხდის ამ ლექსებს თანამედროვე მკითხველისათვის. სრული და ზუსტი არ არის მთელი რიგი ლექსების ვარიანტები, მაშინ როცა შესავალ წერილში რედაქცია პრეტენზიას აცხადებს ასეთ სისრულეზე. გარდა ამისა, ზოგიერთი ლექსი („ციცუნია კატაო“, „კუდი ბუძგვით აიპრეხა“), რომლებიც პოეტს პროზაში ჰქონდა ჩართული, აქ წარმოდგენილია როგორც დამოუკიდებელი ლექსები. დაშვებულია უხეში კორექტურული შეცდომებიც. პირველი ტომის წინასიტყვაობაში დამახინჯებულია პოეტის სახელიც კი, — „აკაკის“ ნაცვლად წერია „იკაკი“. აქ ხშირად დაცული არ არის ორთოგრაფიული ნორმები. ხან წერია „ფართე“, ხან „ფართონ“, ხან „რევოლუციური“, ხან „რევოლუციონური“ და ა. შ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი, სალიტერატურო ჟურნალები, გაზეთები და ლიტერატურული კრიტიკა ჯეროვნად არ ზრუნავენ ქართველ კლასიკოსთა სრულყოფილად გამოცემის მოსაწესრიგებლად. კლასიკოსთა თხზულებების ტექსტის ზუსტად დასადგენად და კლასიკოსთა გამოცემის მკვიდრ ნიადაგზე დასაყენებლად საბჭოთა მეცნიერებისათვის დამახასიათებელი პრინციპულობით და შეუპოვრობით არ იბრძვის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო ჟურნალი „ლიტერატურული ძიებანი“ (რედაქტორი შ. რადიანი).

როგორც ვხედავთ, მდგომარეობა სერიოზულია. ქართული ლიტერატურის კლასიკოსების გამოცემა დამაკმაყოფილებელი არ არის. კლასიკოსების თხზულებათა ტექსტის დადგენისა და აკადემიური გამოცემის საქმე ვერ უპასუხებს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ მწერლობის წინაშე დასახულ ამოცანებს.

ქართული სამეცნიერო და საგამომცემლო ორგანიზაციების გადაუდებელი ამოცანაა უახლოეს ხანში გამოასწორონ კლასიკოსთა თხზულებების გამოცემაში არსებული ჩამორჩენა, თხზულებათა ტექსტის მეცნიერულად დადგენისა და რედაქტირებისათვის შეარჩიონ საქმის მცოდნე, იდეურად მომზადებული, კვალიფიციური კადრები, რომლებიც ამ უაღრესად პასუხსაგებ დავალებას სერიოზულად მოეკიდებიან. საჭიროა ამ საქმეში გაბედულად ჩავაბათ ახალგაზრდა ნიჭიერი მეცნიერული ძალები.

საბჭოთა მკითხველი მოითხოვს ლიტერატურის კლასიკოსების თხზულებათა სრულყოფილ გამოცემებს. ჩვენი სამეცნიერო დაწესებულებები და საგამომცემლო ორგანიზაციები, რომლებსაც საამისოდ სრული შესაძლებლობა აქვთ, ვალდებული არიან მაქსიმალურად დააკმაყოფილონ მკითხველის ეს სამართლიანი მოთხოვნა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-8 სესია

ა. ი. ვიშინსკის სიტყვა პენარულ სხდომაზე

ნიუ-იორკი, 2 დეკემბერი. (საკდესი). გენერალური ასამბლეის 1 დეკემბრის პლენარულ სხდომაზე გრძელდებოდა განხილვა ამერიკის დელეგაციის მიერ შეტანილი ეგრეთწოდებული საკითხისა „მხეცობის“ შესახებ, რაც თითქოს ჩაადინეს კორეის სახალხო არმიამ და ჩინელმა მოხალისეებმა „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებული ძალების სამხედრო ტყვეების“ მიმართ.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა ა. ი. ვიშინსკიმ ცხადყო ამერიკის დელეგაციის ამ წამოწყების ცინლისმწამებლური, პროვოკაციული ხასიათი. მან მოგონა სხდომას, რომ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის ცდა — მის მიერ წარმოდგენილი საკითხი შეიტანოს გენერალური ასამბლეის VIII სესიის დღის წესრიგში — მხოლოდ გამეორებაა იმ ცდისა, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო წრეებმა მოახდინეს 1951 წელს. მთავარი მიზანი, რომელსაც მაშინ ამერიკის სამხედრო წრეები ისახავდნენ, გამოსცეს რა პოლკოვნიკ ჰენლის მოხსენება, ის იყო, რომ ჩაეშალათ დაზავებაზე მოლაპარაკება. ამ მიზანს ემატებოდა ამოცანა გაეშალათ კორეაში ამერიკელ ჯარისკაცთა შორის პროპაგანდისტული კამპანია, რათა ჩაეხშოთ კორეაში ომის შემდგომი განგრძობის საწინააღმდეგო განწყობილება, რომელიც ფართოდ გავრცელდა ფრონტზე. პოლკოვნიკ უელშის დასკვნაში, რომელიც გამოიკვლია ჰენლის მოხსენების გამოქვეყნების ისტორია, პირდაპირ იყო აღნიშნული, რომ გენერალ ვან ფლიტს საჭიროდ მიაჩნდა ეწარმოებინათ ასეთი პროპაგანდისტული კამპანია, რადგან, როგორც ამ თვითონ აღიარა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების ბრძოლისუნარიანობა უკანასკნელ ხანს კატასტროფულად დაეცა. პოლკოვნიკმა უელშმა განაცხადა, რომ ჰენლის მიერ წამოყენებულ ბრალდებებს საფუძვლად არ უდგას არავითარი ფაქტი და ეს ბრალდებანი სინამდვილეს არ შეესაბამება. ამერიკის სამხედრო ხელისუფალთა პროვოკაციული წამოწყება და პოლკოვნიკ ჰენლის მოხსენება ჩაიფუშა.

ახლა, განაცხადა ა. ი. ვიშინსკიმ, იგივე ისტორია მეორდება. კვლავ წამოაყენეს იგივე ძველი ბრალდებანი, რომლებიც თვითონ გენერალ რიჯუეის შტაბმა უარყო, როგორც ყოველგვარ საფუძველს მოკლებული. მთელი ისტორია ეგრეთწოდებული „მხეცობისა“, რომელსაც ჩრდილოეთ კორეის შეიარაღებულ ძალებსა და ჩინელ სახალხო მოხალისეებს მიაწერენ, თავისი ცინიზმითა და ვერაგობით უმაგალითო პროპაგანდისტული მანევრია, რომლის მიზანია მიჩქმალონ კორეაში ამერიკელი ინტერვენტების მიერ კაცობრიობის წინაშე ჩადენილი უმძიმესი დანაშაულნანი.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა, ანალიზი გაუკეთა რა ეგრეთწოდებულ „დოკუმენტალურ მასალებს“, რომლებიც ამერიკის დელეგატმა ლოჯმა წარმოადგინა, ცხადყო, რომ ლაპარაკიც არ შეიძლება ამ მასალების რაიმე „დოკუმენტალურობაზე“, რომ ისინი წარმოადგენენ მხოლოდ და მხოლოდ მაკულატურას, რომელიც მის ავტორებს ამხილეს როგორც დოკუმენტების ფალსიფიკატორებს, რომლებსაც ამასთანავე უხეშად და ტლანქად უმუშავნიათ.

ა. ი. ვიშინსკიმ ცხადყო, რომ ამერიკის სამხედრო ხელისუფლებს ამ „მასალების“ მომზადების დროს ფართოდ გამოუყენებიათ მათი ფაბრიკაცია და პირდაპირი სიყალბე.

ის ფაქტი, რომ გამოკვლევას უმთავრესად სამხრეთ კორეის პოლიცია აწარმოებდა, ხაზგასმით აღნიშნა ა. ი. ვიშინსკიმ, საკმაოდ ამხილებს ამ პოლიციის მიერ შეთითხნილი „დოკუმენტების“ სიყალბესა და პროვოკაციულ ხასიათს. ყველასთვის ცნობილია, თუ რა ბარბაროსული მეთოდებით აწარმოებდა სამხრეთ კორეის პოლიცია ამ ეგრეთწოდებულ „გამოკვლევას“. ა. ი. ვიშინსკიმ მოგონა სხდომას, რომ ინგლისურმა გაზეთმა „დეილი მირორმა“ ჯერ კიდევ 1950 წლის ნოემბერში გამოაქვეყნა თავისი სეულელი კორესპონდენტის დონ გრინლისის სპეციალური ცნობა სათაურით „ბოლო მოეღოს ამ მხეცობას!“. დონ გრინლისს მოჰყავდა მრავალი შემთხვევა, რომ სამხრეთ კორეის პოლიციის უბნებში დაკითხვის დროს დაპატიმრებულთ სცემდნენ, სანამ ნაცემთ გრძნობა არ დაეკარგებოდათ, და ძალით ართმევდნენ მათ „ჩვენებას“ იმ დანაშაულობათა შესახებ, რომლებიც მათ თითქოს ჩაადინეს.

ამ პირობებში, განაცხადა ა. ი. ვიშინსკიმ, როცა სამხრეთ კორეაში სამხედრო-საველე იუსტიცია მძინვარებდა, რომელიც მასობრივ რეპრესიებსაც არ ერიდებოდა იმ პირების მიმართ, რომელთაც მხოლოდ ეჭვით დასწამებდნენ ამერიკის შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ რაიმე მოქმედებას, არ შეიძლებოდა ყოფილიყო და არც ყოფილა გამოძიების სწორი წარმოება რაიმე გარანტია, ასეთი გამოძიების ელემენტარული კეთილსინდისიერების გარანტია. უცილობელი ფაქტები მოწმობენ, რომ ამ საქმის გამო დაკითხვის დროს არავითარი გარანტია არ ყოფილა თვითნებობისა და უკანონობის წინააღმდეგ, რომლებმაც მხოლოდ ხელი შეუწყეს ფაქტების დამახინჯებას, სიყალბეს და დოკუმენტების ფალსიფიკაციას.

ასეთი მოქმედების ცინიზმი და აღმაშფოთებლობა, განაცხადა ა. ი. ვიშინსკიმ, მით უფრო აშკარა ხდება, რომ სწორედ ამერიკელი ხელისუფლები მოურიდებლად თელავენ ფეხქვეშ საერთაშორისო სამართლის ყველა ნორმასა და პრინციპს, რომლებიც სამხედრო ტყვეების ინტერესების დაცვას შეეხება.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა მოიყვანა მრავალი ფაქტი, რომლებიც მოწმობენ, თუ რა მხეცურად ეპყრობიან ჩრდილოეთკორეელებსა და ჩინელ სამხედრო ტყვეებს ამერიკელთა ბანაკებში. მან მოგონა გენერალურ ასამბლეას ფაქტები, თუ რა ავაზაკურად მოსპეს ამერიკის შეიარაღებულმა ძალებმა კორეის მშვიდობიანი სამოქალაქო მოსახლეობა.

ჯერ კიდევ 1950 წელს, განაცხადა ა. ი. ვიშინსკიმ, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ არაერთხელ მიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას და მტკიცედ მოითხოვა, რომ უშიშროების საბჭოს მიეღო ღონისძიებანი ამ მხეცობის შესაწყვეტად. მაგრამ მთელ ამ მიმართვებს არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. შემდგომი წლების განმავლობაში ამერიკელი ინტერვენტებისა და ლისინმანელი ჯალათების ბორბოტმოქმედება სულ უფრო მზარდი ძალით გრძელდებოდა, მიუხედავად კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პროტესტებისა, საერთაშორისო ორგანიზაციების ჩარევისა და პროტესტებისა და ფართო საზოგადოებრივი წრეების მოთხოვნისა — დაეცვათ ჰაგის 1907 წლის კონვენცია, რასაც სისტემატურად არღვევდნენ ამერიკის შეიარაღებული ძალები, რომლებმაც ნანგრევებად აქციეს კორეის ქალაქები.

მსოფლიოს ხალხები, განაგრძო ა. ი. ვიშინსკიმ, ნათლად ხედავენ, თუ ნამდვილად ვინ სჩადის მხეცობას, ვინ არღვევს კონვენციებსა და საერთაშორისო სამართლის ელემენტარულ ნორმებს, ვინ ცდილობს მიჩქმალოს ეს ცილისმწამებლური და ყალბი ბრალდებებით ჩრდილოეთ კორეის შეიარაღებული ძალების და ჩინელი სახალხო მოხალისეების მიმართ.

გენერალურ ასამბლეას არ შეუძლია იყოს და არც უნდა იყოს ამ საქმეში ამერიკის შეერთებული შტატებისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის რეაქციული ძალების პოლიტიკის იარაღი. გენერალურმა ასამბლეამ უნდა ჩაუშალოს ცდები ამ რეაქციულ წრეებს, რომლებიც ისწრაფვიან ჩაფუშონ კორეის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგება, ჩაფუშონ მშვიდობისმოყვარე ქვეყნების ღონისძიებანი, რომელთა მიზანია შენელდეს და მოისპოს საერთაშორისო დაძაბულობა და უზრუნველყოფილ იქნას საერთაშორისო თანამშრომლობა, ხალხთა მშვიდობა და უშიშროება.

გენერალურ ასამბლეას თავს მოახვიეს განხილვა საკითხისა საერთაშორისო სამართლის პრინციპების და ნორმების დარღვევის შესახებ, რაც თითქოს ჩაიდინეს ჩრდილოეთ კორეის შეიარაღებულმა ძალებმა და ჩინელმა სახალხო მოხალისეებმა. ეს იმ საგარეო პოლიტიკის ერთერთი გამოვლინებაა, რომელსაც ახორციელებენ შეერთებული შტატები და რომლის მიზანია არ დაუშვან საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, თავისუფლად შეეძლოთ შემდგომი გამაღლებული შეიარაღება და დაუბრკოლებლად ამზადონ ახალი მსოფლიო ომი. აი ამიტომ, განაცხადა ა. ი. ვიშინსკიმ, ამერიკის შეერთებული შტატების რეაქციული წრეები სწორედ ახლა, როცა საბჭოთა მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობს საერთაშორისო დაძაბულობის შესანელებლად და საერთაშორისო საკითხთა მოსაწესრიგებლად, ქმნიან ახალ დაბრკოლებებს იმ გზაზე, რომელიც შეესაბამება ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს.

სსრ კავშირის წარმომადგენელი წავიდა იმ რეზოლუციის პროექტის წინაალმდეგ, რომელიც შეიტანეს ხუთი ქვეყნის დელეგაციებმა შეერთებული შტატების მეთაურობით.

შემდეგ გამოვიდა ავსტრალიის წარმომადგენელი სპენდერი, რომელიც ამ რეზოლუციის პროექტის თანაავტორია. მან დელეგატებს მოუწოდა ხმა მიეცათ ამ პროექტისათვის. ავსტრალიის დელეგატმა მთელ რიგ ცილისწამებებს მიმართა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ.

იდენის განცხადება თემთა პალატაში

ლონდონი, 1 დეკემბერი. (საკდესი). როგორც პრეს ასოშიეიშნის სააგენტო იუწყება, ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა იდენმა, უპასუხა რა გუშინ თემთა პალატაში მიცემულ შეკითხვაზე, განაცხადა, რომ საბჭოთა 26 ნოემბრის ნოტის საკითხზე მას კონსულტაცია აქვს „სხვა მთავრობებთან, რომელთაც იგრეთვე გაეგზავნათ საბჭოთა ნოტა. ეს აზრთა გაზიარება წარმოებს სწრაფად და დამაკმაყოფილებლად, და მთავრობას იმედი აქვს, რომ ახლა შესაძლებელი იქნება მალე მოეწყოს ოთხი საგარეო საქმეთა მინისტრის შეხვედრა“. (ამ განცხადებას ტაშით შეხვდნენ).

ლეიბორისტმა ვუდრო უაიატმა იდენის ყურადღება მიაქცია „ვაშინგტონის გამოხმაურებას, რომელიც საგონებელში გვაგდებს“.

იდენმა უპასუხა: საფუძველი მაქვს მივიჩნიო, რომ პასუხს, რომელიც ეს არის გავიცი, „მოიწონებს შეერთებული შტატების მთავრობა“.

ამერიკელ, ინგლისელ და სამხრეთკორეელ ტყვეთა პროტესტი ამერიკის ხელისუფალთა მუქარის წინააღმდეგ

პეკინი, 1 დეკემბერი. (საკდესი). სინხუას სააგენტო იუწყება, რომ ნეიტრალურმა სარეპატრიაციო კომისიამ 29 ნოემბრის გამოაქვეყნა იმ ამერიკელ, ინგლისელ და სამხრეთკორეელ ტყვეთა პროტესტი, რომლებიც იმყოფებიან კომისიის ჩრდილოეთის ბანაკში. ტყვეები აღშფოთებული არიან იმ მუქარის გამო, რომელსაც შეიცავს ამერიკის შეერთებული შტატებიდან გამოგზავნილი ანონიმური წერილები და დეპეშები.

ცდილობენ რა დაშინონ არა მარტო ამერიკელი, არამედ სხვა ჯარისკაცებიც, რათა აიძულონ ისინი დაბრუნდნენ სამშობლოში, ამ კამპანიის ორგანიზატორები გზავნიან უამრავ გაზეთებსა და გაზეთის ამონაჭრებს, პროვოკაციული შინაარსის სტატიებსა და ფოტოსურათებს. არღვევენ რა ცენზურის წესს, ისინი აშკარად ემუქრებიან ამ ტყვეებს, რომ შურს იძიებენ მათ წინაალმდეგ. მაგალითად, ენდრიუ ფორჩიუნის სახელზე მოსულ ანონიმურ წერილში ნათქვამია: თუ თქვენ დაუყოვნებლივ არ დაბრუნდით, გირჩევნიათ არასოდეს არ დაბრუნდეთ...

სამხედრო ტყვეები თავიანთ პროტესტში მოითხოვენ ბოლო მოეღოს ამ აღვირახსნილ შანტაჟს და ახსნაგანმარტებითი მუშაობის მოწყობის წესის შესახებ შეთანხმების დარღვევას. განცხადებაში კერძოდ, ნათქვამია: რაკი იცის, რომ კანონიერი ახსნაგანმარტებითი საუბრებით ვერ დაგვიყოლიებს რეპატრიაციაზე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სარდლობა ცდილობს მიაღწიოს ამას დაშინებისა და შანტაჟის საშუალებით...

პროტესტის პასუხად ნეიტრალური სარეპატრიაციო კომისიის თავმჯდომარემ გენერალ-ლეიტენანტმა ტიმაიამ დაადასტურა ყველა აღნიშნული ფაქტი და განაცხადა, ამერიკის მუქარას და პროვოკაციას ბოლო მოეღებოთ.

ამერიკის გაზეთი ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო გეგმების შესახებ პაკისტანში

ნიუ-იორკი, 1 დეკემბერი. (საკდესი). კომენტარს უკეთებს რა ამერიკის ზოგიერთი გაზეთის ცნობებს იმის შესახებ, რომ შეერთებულმა შტატებმა თითქოს „ხელი აიღეს ამ იდეაზე“, რომ პაკისტანთან სამხედრო პაქტი დადონ, საღამოს გაზეთ „სტარის“ კორესპონდენტი ირვინგი წერს: „არ არის იმის რაიმე ნიშანი, რომ შეერთებული შტატები უარს იტყვიან თავიანთ იმედზე—გადააქციონ პაკისტანი ძალის წყაროდ შუა აღმოსავლეთში და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში“. „სტრატეგიული პოზიცია“ პაკისტანისა, „ერთადერთი ანტიკომუნისტური ქვეყნისა, რომელიც ფაქტიურად საბჭოთა კავშირისა და წითელი ჩინეთის მოსაზღვრეა... ადვილად გასაგებს ხდის, თუ რატომ უპერენ მხარს სახელმწიფო დეპარტამენტი და თავდაცვის სამინისტრო, მიუხედავად ნერუს „დიდი შეშფოთებისა“, პაკისტანთან სამხედრო პაქტის დადებას...“

„მოსწონს თუ არა ეს ნერუს, — ამტკიცებს კორესპონდენტი, — საბოლოო სამხედრო შეთანხმება მიღწეულ იქნება. ვიცოცხლოთ და ვნახოთ, როგორი იქნება ეს შეთანხმება. მან შეიძლება გაითვალისწინოს ამერიკის ბაზები, ისეთი, როგორიც ახლა არის ჩრდილოეთ აფრიკასა და ევროპაში. იგი აშკარად გაითვალისწინებს პაკისტანისათვის უშუალო სამხედრო დახმარების გაწევას, ამასთან საჭირო ეკონომიურ და შესაძლო ერთგვარ ტექნიკურ დახმარებას...“

საფრანგეთის გაზეთები ხო ში მინის განცხადების შესახებ

პარიზი, 1 დეკემბერი. (საკდესი). საფრანგეთის ბურჟუაზიული პრესა, კომენტარს უკეთებს რა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტ ხო ში მინის განცხადებას მოლაპარაკების შესაძლებლობის შესახებ, აღიარებს, რომ ბოდიალი მმართველები თავზარდაცემული არიან, რადგან გრძნობენ, რომ არ შესწევთ უნარი გაძლონ საფრანგეთის ჯარების დაუხმარებლად და რომ ამიტომ ისინი ყოველი ღონისძიებით ცდილობენ ომის განგრძობას.

„ვიეტნამელი ნაციონალისტების გამოხმაურება, — წერს გაზეთი „მონდი“, — ამტკიცებს, რომ, მათი საკუთარი აზრითაც კი, ბაო დაის რეჟიმი ვერ გაუძლებს ვიეტმინს (ასე უწოდებენ ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას. — **რედ.**) პოლიტიკური ძალების გამოცდაში, რაც საომარი მოქმედების შეწყვეტას მოჰყვება. ამიტომ უდგანან ისინი ოპოზიციაში შესაძლო მოლაპარაკებას“.

კათოლიკური გაზეთი „კრუა“ აღნიშნავს, რომ ხო ში მინის ინტერვიუმ გამოიწვია „დიდი გამოხმაურება ყველა ქვეყანაში“.

გაზეთი „პარი-პრეს-ენტერნასიონალი“ წერს: „ხო ში მინის ინტერვიუთი გამოწვეულმა ეფექტმა, ისევე როგორც საფრანგეთში ამ ინტერვიუს გამო პირველმა გამოხმაურებამ, მხოლოდ ცხადყო, რომ საჭიროა პირდაპირ გაირკვეს, თუ რა აქვს მხედველობაში საფრანგეთის მთავრობას, როცა აცხადებს: „მზად ვართ მოლაპარაკება ვაწარმოოთო“.

როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, ბაო დაის ვიეტნამში აკრძალულია პრეზიდენტ ხო ში მინის განცხადების ტექსტის გამოქვეყნება, აგრეთვე იმ განცხადებათა გამოქვეყნება, რომლებიც ამის თაობაზე ზოგიერთმა ფრანგმა მოღვაწემ გააკეთა.

პარიზი, 2 დეკემბერი. (საკდესი). ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტ ხო ში მინის მიერ შვედურ გაზეთ „ექსპრესენისათვის“ მიცემული ინტერვიუ კვლავ აღელვებს საფრანგეთის პოლიტიკურ წრეებს. ამ ინტერვიუმ აშკარად განამტკიცა იმათი პოზიციები, ვინც საზავო მოლაპარაკებას ემხრობა.

კომუნისტმა დეპუტატმა კრიეელ ვალრიმონმა შეკითხვა მისცა მთავრობას ხო ში მინის მთავრობასთან საზავო მოლაპარაკების შესახებ. ეროვნული კრების გუშინდელ სხდომაზე კრიეელ ვალრიმონმა მოკლე სიტყვა წარმოთქვა თავისი ინტერპელაციის დასაცავად. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ფრანგი ხალხი მტკიცედ მოითხოვს ამ სისხლისღვრის შეწყვეტას და რომ დღეს საზავო მოლაპარაკების შესაძლებლობა უფრო თვალსაჩინო გახდა.

მაგრამ ეროვნული კრების უმრავლესობამ უარყო მისი მოთხოვნა ვიეტნამში კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების პერსპექტივების განხილვის შესახებ. სოციალისტმა დეპუტატმა ნეელემა გაზეთ „ენფორმასიონის“ წარმომადგენელს განუცხადა:

„ფრანგ ხალხს მშვიდობა სურს. მას ძლიერ უნდა ინდოჩინეთში შომქანცველი კონფლიქტის შეწყვეტა, რათა ერმა მთელი თავისი ძალები მოახმაროს ძირითადი ამოცანების შესრულებას... ხო ში მინის განცხადების შემდეგ დუმილი შეუძლებელია“.

გაზეთ „ეკოს“ სიტყვით, საფრანგეთის მმართველ წრეებში უთანხმოება წარმოიშვა პრეზიდენტ ხო ში მინის განცხადებასთან დამოკიდებულების საკითხზე.

„ფრანგები უარს ამბობენ ევროპის გაერთიანების ხელშეკრულებაზე“

პარიზი, 2 დეკემბერი. (საკდესი). გაზეთმა „ენფორმასიონმა“ გამოაქვეყნა ეროვნული კრების დეპუტატის ფილიპე ბარესის სტატია სათაურით: „სამართლე უნდა ვუთხრათ ამერიკელებს ნაცვლად იმისა, რომ ისინი საფრანგეთისა და თავიანთი თავის წინააღმდეგ ავამხედროთ“.

ბარესი წერს, რომ „ევროპის არმიის“ მომხრენი ახლა ცდილობენ პრესისა და რადიოს დახმარებით შექმნან შთაბეჭდილება, თითქოს პარიზის ხელშეკრულებას აქვს იმის შანსები, რომ იგი დაამტკიცოს საფრანგეთის ეროვნულმა კრებამ, თუმცა პარლამენტის უკანასკნელმა კამათმა ცხადყო ამ იმედის უსაფუძვლობა. ბარესი წერს, რომ ყველა ეს მტკიცება „გაუგებრობაა“, რომელიც ამერიკელებს აიძულებს გაანგრძონ საფრანგეთზე ამაო ზეგავლენა, რაც ჩვენც გვაბოროტებს და იმათაც.

ყოველივე ამის ნაცვლად, წერს ბარესი, „ამერიკელებს სიმართლე უნდა ვუთხრათ“.

„სიმართლე კი ის არის, — აცხადებს იგი, რომ ამასწინანდელი კამათის შემდეგ ეროვნული კრება, ისევე როგორც საზოგადოებრივი აზრი, თანდათან იწყებს ევროპის გაერთიანების შესახებ ხელშეკრულებათა აზრის შეგნებას, და რაც უფრო ეცნობიან მათ ეროვნული კრების დეპუტატები და ფრანგი მოსახლეობის სხვადასხვა ფენა, მით უფრო უარყოფენ მათ. ისინი იწყებენ იმის შეგნებას, რომ გაერთიანებული ევროპა არის საფრანგეთის იზოლაციის ფორმა, რომელიც გერმანიამ ოსტატურად წარმოადგინა, რათა თავს მოახვიოს მას გერმანიის მრეწველობის პროდუქციის ნამეტი, დაამყაროს ბატონობა ევროპასა და საფრანგეთის აფრიკაში და, საბოლოო ანგარიშით, ამ გზით დაგროვებული უდიდესი ძლიერება გამოიყენოს ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის თამაშში...

სიმართლე, ბოლოს, ის არის, რომ გერმანიამ დაიწყო ყველაზე საშიში შემოტევა საფრანგეთის წინააღმდეგ იმ მომენტში, როცა საფრანგეთი აღმოჩნდა თითქმის იზოლირებული და თავის იმ ტრადიციულ კავშირებს მოკლებული, რომლებიც მას აღმოსავლეთთან და დასავლეთთან აერთიანებდა“.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა მოიწონა შეთანხმება კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის

ფხენიანი, 2 დეკემბერი. (საკდესი). კორეის ცენტრალურმა დეპეშათა სააგენტომ გამოაქვეყნა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება, რომელიც მიღებულია მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის კიმ ირ სენის მოხსენების გამო კორეის მთავრობის იმ დელეგაციის მუშაობის შესახებ, რომელიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში იყო. დადგენილებაში ნათქვამია, რომ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი მთლიანად იწონებს და მიესალმება პეკინის მოლაპარაკების შედეგებს და დიდ მადლობას უძღვნის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალურ სახალხო მთავრობას და მოძმე ჩინელ ხალხს იმ დახმარებისათვის, რასაც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობა უწევს კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარების საქმეში. კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა დაადგინა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების დასამტკიცებლად გადასცეს დადებული „შეთანხმება კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობის შესახებ“.

ინდოეთის პრემიერ-მინისტრ ნერუს განცხადება პარლამენტში

ლონდონი, 1 დეკემბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა, უპასუხა რა პარლამენტის სახალხო პალატაში კითხვაზე ამერიკა-პაკისტანის სამხედრო მოლაპარაკების თაობაზე ცნობების შესახებ, განაცხადა: „ინდოეთის მთავრობამ ნათლად განაცხადა, რომ იგი მეტად დიდი შეშფოთებით ადევნებს თვალყურს ყოველ ასეთ მოვლენას. მომავალში ყოველი ნაბიჯი დამოკიდებული იქნება იმ მოვლენებზე, რომლებიც შეიძლება მოხდეს“.

სპორტის ამბები

საქართველოს პირველობა ფეხბურთში

თბილისის „დინამოს“ სტადიონზე რამდენიმე დღეს გრძელდებოდა პირველი ჯგუფის ქვეჯგუფებში გამარჯვებული ექვსი გუნდის დასკვნითი ასპარეზობა ფეხბურთში საქართველოს 1953 წლის ჩემპიონის გამოსავლენებლად.

უკანასკნელი კალენდარული შეხვედრები გაიმართა 1 და 2 ნოემბერს. თბილისის 26 კომისრის რაიონისა და „სკიფის“ („მედიკი“) შეხვედრა დამთავრდა ფრედ ანგარიშით 3:3. ასეთივე ანგარიშით დამთავრდა სუხუმის „დინამოსა“ და თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს გუნდების შეჯიბრება. ბათუმის დინამოელებმა მოუგეს თავიანთ ქუთაისელ თანაკლუბელებს ანგარიშით 2:1. ქუთაისის „დინამოსა“ და ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს გუნდების 2 ნოემბრის შეხვედრა დამთავრდა ფრედ 2:2.

თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს ფეხბურთელთა გუნდმა გადამწყვეტ ხუთ თამაშში მოიგო სამი, ფრედ დაამთავრა ორი, ბურთების შეფარდებით 12:6 შეაგროვა 8 ქულა და საქართველოს 1953 წლის ჩემპიონის წოდება მოიპოვა.

მეორე ადგილზე 7 ქულით გამოვიდა ბათუმის „დინამო“, მესამეზე — ქუთაისის „დინამო“, მეოთხეზე — თბილისის „სკიფი“ („მედიკი“), მეხუთეზე — 26 კომისრის რაიონის გუნდი, მეექვსეზე — სუხუმის „დინამო“.

მოჰადრაკე ქალთა საკავშირო ჩემპიონატი

დონის როსტოვში გრძელდება მოჰადრაკე ქალთა საკავშირო ჩემპიონატი. გადადებული პარტიების დამთავრებისას, რაც მეცხრე ტურის შემდეგ გაიმართა, ზვორიკინა შეჯიბრების განუყრელად ადგებდა რუბცოვას, მახინია — ზვორიკინას. ნალტინგი — გოგიავა და ვაისბერგი — ზვორიკინა ყაიმზე შეთანხმდნენ. მსოფლიო ჩემპიონის ბიკოვასა და რუდენკოს გადადებული პარტია 6 სვლის შემდეგ რუდენკოს გამარჯვებით დამთავრდა. იგნატიევა — რუდენკო ყაიმზე შეთანხმდნენ. გოგიავასა და იგნატიევას პარტიაში გოგიავამ ვერ გამოიყენა უპირატესობა და დამარცხდა. ვოიციკმა მოუგო ბიკოვას, ზვორიკინამ — გოგიავას, ვოლპერტმა — რუბცოვას, სემიონოვამ — ვოიციკს. ბიკოვა — ვოლპერტისა და ნალტინგ — ბიკოვას პარტიები ყაიმით დამთავრდა.

მეათე ტურში გოგიავა — ვოლპერტის, ფილანოვსკაია — ვოიციკის და მახინია — იგნატიევას პარტიები ყაიმით დამთავრდა. ბიგლოვამ დაამარცხა რუბცოვა, ნალტინგმა — ვაისბერგი, დანარჩენი პარტიები გადადიდო.

10 ტურის შემდეგ ჩემპიონატის ლიდერია ზვორიკინა, რომელსაც 7½ ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს. კაკაბაძეს აქვს 4½ ქულა და 1 გადადებული პარტია, გოგიავას — 3 ქულა.

ფაღარეთი სამკურნალო

30 წელია თბილისში არსებობს ტალახით და გოგირდის წყლით სამკურნალო დაწესებულება. აქაური სამკურნალო ტალახი ახლა ფართოდ არის ცნობილი როგორც ჩვენს რესპუბლიკაში, ისე მის ფარგლებს გარეთაც.

წინათ აქ ტალახი ახტალიდან მოჰქონდათ, მაგრამ უკვე თხუთმეტი წელია სარგებლობენ კუმისის ტბის ტალახით, რომელიც, მეცნიერთა დასკვნით, არაფრით არ ჩამოუვარდება ახტალისას.

წელს აქ 6.000-ზე მეტმა კაცმა იმკურნალა.

სემინარი

ორშაბათს, 7 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის სხდომათა დარბაზში შედგება ქ. თბილისის უმაღლესი სასწავლებლების საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლების მუდმივმოქმედი სემინარის მეცადინეობა თემაზე:

„მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის კრიზისის გაღრმავება და იმპერიალისტურ ბანაკში შინაგან წინააღმდეგობათა გამწვავება“.

მომხსენებელი ამხ. დ. ს. ზავრიევი.

რედაქტორის მოადგილე
რ. ჟურაციკიძე.

«კინოპროკატის» საქართველოს რესპუბლიკური კანტორა

3 დეკემბრიდან თბილისის კინოთეატრებისა და კლუბების ეკრანზე ნაჩვენები იქნება ახალი ფერადი მხატვრული ფილმი

დადგმა ლ. ლუკოვისა, მხატვარი ი. ზახაროვა, კომპოზიტორი ლ. შვარცი, მთავარი რეჟისორი კ. ზუბოვი.

მ. გორკის სახელობის მხატვრული ფილმების კინოსტუდიის ნაწარმოები, 1953 წ.

დღეს თეატრებსა და კინოებში

რუსთაველის სახელობის — ახალგაზრდა მასწავლებელი, **მარჯანიშვილის სახელობის** — რაც გინახავს, ვეღარ ნახავ (რკინიგზელის სახლში), **გრიბოედოვის სახელობის** — ხვალინდელი დღე ჩვენი იქნება, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ლურჯა (აბონემენტი № 19, 10 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — ჩექმებიანი კატა (10 ს.), **მუსიკალური კომედიის** — მეგობრები, **სანიტარული კულტურის** — სიცოცხლის ტყე.

• • •

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი, თბილისი, ისანი, პლეხანოვისა და ვოროშილოვის კლუბები — ვასა ჟელეზნოვა, **ამირანი** — სოფლის მასწავლებელი (დღისით), ვენური კვარტეტი (საღამოს), **კომკავშირელი, დიდუბე** — ფრანც შუბერტი, **კოლხიდა, კოლმეურნე, ოფიცერთა სახლი** — საგუშაგო მთებში.

მეუღლე თინა სვანიძე-მახაშვილი, შვილი მარინე, შშობლები ნიკოლოზ, სონა მახაშვილები, სიმამრი ოლიფანტე, სიდედრი მართა სვანიძეები იუწყებიან რაჟდენ ნიკოლოზის-ძე მახაშვილის გარდაცვალებას. პანაშვიდი 4, 5-XII, 8 ს. გამოსვენება 6-XII, 2 ს. ჯავახიშვილის ქ. № 24.

დეიდები ივლიტე, ნიფადორა, ელენე, ნინო ვაშაძეები, ბიძა ვლადიმერ ნაკაიძე, დეიდაშვილები ლიუდმილა, ვანო, ბუკა, ლია, თამარ ნაკაიძეები ოჯახებით იუწყებიან უშანგი ჩხეიძის გარდაცვალებას.

დისწულები ნინო, არჩილ დოლმაზაშვილები, ალექსანდრე, თამარ ბაღაშვილები, ოლია, ალექსანდრე ბასილოვები, ქეთევან, სიმონ მგალობლიშვილები, ქ. ყაყიჩაშვილი, მ. გუზიტაშვილი, ე. ზასუხოვა, თ. ღამბაშიძე ოჯახებით იუწყებიან მიხეილ სიმონის-ძე ჩუხრუკიძის გარდაცვალებას.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თანამშრომლები იუწყებიან მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატს რაჟდენ ნიკოლოზის-ძე მახაშვილის გარდაცვალებას.

ძმები გიორგი, იოსებ, შალვა, და ანა, რძლები თამარ, ნადა, სათო, ვერა, ძმისწულები ლეილა, კარლო, იულონ, ავთანდილ, ციალა, ალექსანდრე, ანგი, ელენე, ნიკოლოზ, გიორგი იუწყებიან რაჟდენ ნიკოლოზის-ძე მახაშვილის გარდაცვალებას.

**მეუღლე ევა, შ